საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 2 ლარი


№155-156 (10158-10159) 2026 წლის 5 ნოემბერი, ხუთშაბათი

ბრალდებული ირაკლი ღარიბაშვილი „ირწმუნება“, რომ ეს პროცესი აგებულია მხოლოდ ცილისწამებაზე!



იხ. 3 გვ.

რას დაადგენს სასამართლო?!



იხ. 4 გვ.

ვინ დაიკავებს ოპოზიციურ ველს და გაჯანსაღდება თუ არა ქვეყანაში პოლიტიკური პროცესი?

ნათლობის ზეციური დღე აჭარაში



6 7

ღირს კი ვლადიმერ პუტინთან ლაპარაკი?

ანუ როგორ შეიტანა პუტინმა განსხვავებული დასავლეთის ქვეყნებს შორის...



იხ. 9 გვ.

ეთერ ჯიშკარიანის ოქროსფრთოსანი ცუთისოფელი



8



ბერა ივანიშვილმა „ტვ პირველსა“ და „ფორმულას“ სასამართლოში უჩივლა

„ქართული ოცნების“ დამფუძნებლის, ბიძინა ივანიშვილის შვილის, ბერა ივანიშვილის სარჩელი ტელეკომპანიების „ტვ პირველი“ და „ფორმულას“ წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში შევიდა, – ამის შესახებ მისმა ადვოკატმა დავით ასათიანმა განაცხადა.

ადვოკატის განმარტებით, **ტელეკომპანიების სიუჟეტებში გაჟღერებული ინფორმაცია ბერა ივანიშვილთან დაკავშირებით, სიცრუეზეა დაფუძნებული, შესაბამისად მოსარჩელე ითხოვს, აღნიშნული ფაქტების შესაბამისი ფორმით უარყოფას და მის ცილისწამებად გამოცხადებას.**

ძმობა, რომელსაც ჰიჯაბი არღვევს...

10

„კავკასიისკენ ჩინეთი მოიწევს, რაც არ იქნება კომფორტული რუსეთისთვის“

5



11

სანდრო ბაზაძემ გაასამა

ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

ელექტრონული ვერსია იხილეთ SAKRES.GE



ევროპავშირის მიმართ ძალიან მაღალია ნდობა, მაგრამ ევროპული კომისიის მიმართ ნდობა დაბალია, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** ბრიუსელში, **„ევრონიუსის“** მიერ ორგანიზებულ ევროკავშირის გაფართოების სამიტზე განაცხადა.

საქართველოს საზოგადოება ერთგულია ევროპული ინტეგრაციისადმი და ევროპული კომისიის მიმართ ნდობა დაბალია უსამართლო ქმედებების გამო.

ირაკლი კობახიძის განცხადებით, საბოლოოდ ევროპულმა კომისიამ გადაწყვიტა, შეეწყვიტა პოლიტიკური დიალოგი საქართველოსთან, ევროპული კომისია იყენებდა კანდიდატის სტატუსს საქართველოს შანტაჟისთვის.

ირაკლი კობახიძე:

ევროპას საქართველოს დაშანტაჟება არ გამოუვიდა

„მარტში, 2022 წელს კანდიდატის სტატუსი მოვიითხოვეთ უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად. ჩვენი განაცხადი იყო უარყოფილი, ეს იყო დიდი შეცდომა და არასამართლიანი, ამის საფუძველი არ არსებობდა. მოგვიანებით ევროკომისიამ გამოაქვეყნა თავისი შეფასება საქართველოსთან დაკავშირებით და სხვა ქვეყნებთან მიმართებით, საქართველო წინ იყო მოლდოვაზე, უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა, ვიდრე გოსნიას, თუმცა საქართველოს განაცხადი იყო უარყოფილი. ეს ფაქტი გამოიყენა ზოგიერთმა ჩართულმა მხარემ – შიდა ოპოზიციამ და არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებსაც აფინანსებდნენ ევროპული წყაროები და სხვა წყაროები. ეცადნენ რევოლუციის მოწყობას იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ საქართველოს კანდიდატის სტატუსი არ მიენიჭა... წელიწად-ნახევრის განმავლობაში მოგვიწია ბრძოლა, რომ მიგვეღო კანდიდატის სტატუსი. ძალიან დიდი ბრძოლა გადავიტანეთ. ჩვენ ცხრა პუნქტიანი დავალება გვქონდა, გვქონდა დღის წესრიგი ევროპული კომისიის მიერ მოცემული. ჩვენ ვიყავით ერთგული ამ დღის წესრიგის.

გადაწყვეტილება იყო, რომ დღის წესრიგში არ იქნებოდა გაწევრების პროცესის დაწყება. ეს იყო ჩემი პირადი განცხადება, მაგრამ ჩვენ ხაზი გავუსვით, რომ ევროპული კომისია თუ გადაწყვეტს გაწევრების მოლაპარაკების დაწყებას, ჩვენ მოვემტალურად მივუერთდებით, მაგრამ საბოლოოდ ევროპულმა კომისიამ გადაწყვიტა, და არა ჩვენ, რომ შეეწყვიტა პოლიტიკური დიალოგი საქართველოსთან 2024 წლის ივნისში, ვიდრე ჩვენ გავაკეთებდით ამ განცხადებას.

ჩვენ ვუპასუხეთ ევროპული კომისიის ზოგად პოლიტიკას, უსამართლო პოლიტიკას. ჩვენ გავიგეთ, რომ ევროპული კომისია იყენებდა კანდიდატის სტატუსის საკითხს პირველ ეტაპზე და შემდეგ მიერთების მოლაპარაკების საკითხს შემდეგ ეტაპზე საქართველოს შანტაჟისთვის, საქართველოს საზოგადოების შანტაჟისთვის“, – აღნიშნა **ირაკლი კობახიძემ.**



შალვა პაპუაშვილი ყირგიზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს შეხვდა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი ყირგიზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს სადირ ჟაპაროვს შეხვდა.

მხარეებმა აღნიშნეს საქართველოსა და ყირგიზეთს შორის მეგობრული ურთიერთობები. მხარეებმა განიხილეს ორმხრივი ურთიერთობები და საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში თანამშრომლობა.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა შუა დერეფნის პოტენციალის სრულად ათვისების სარგებელზე. ამ კუთხით, ისაუბრეს სტრატეგიულად მნიშვნელოვან პროექტებზე, როგორებიცაა ჩინეთ-ყირგიზეთ-უზბეკეთის რკინიგზა და ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი.

ხაზი გაესვა შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბების მიზნით პარლამენტებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობას.

შეხვედრა შედგა შალვა პაპუაშვილის ყირგიზეთის რესპუბლიკაში მიმდინარე ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში. საქართველოს საპარლამენტო დელეგაციაში არიან: **ილია ინჯია** – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე; **დავით მათიკაშვილი** – საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე და საქართველო-ყირგიზეთის საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი; **დავით შერაზადიშვილი** – სოფლის მეურნეობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; **გიორგი ჭყონია** – პარლამენტის წევრი და საქართველო-ყირგიზეთის საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფის წევრი.

თეთრ სახლს საკანონმდებლო არტერიები გადაუკეტეს!



დავით ქართველიშვილი:

შუალედურ არჩევნებში რესპუბლიკური პარტიის მარცხმა დონალდ ტრამპი კლასიკურ „კოჭლ იხვად“ აქცია, თუმცა, 2024 წლის არჩევნებთან შედარებით არის მნიშვნელოვანი პროგრესი: კონგრესში არც ერთი მიცვალებული არ იქნა არჩეული – ამჯერად ექსპერიმენტის სახით, ყველა გამარჯვებული ცოცხალია.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 2026 წლის შუალედური არჩევნები შეაფასა სოციალურ ქსელში „ხალხის ძალის“ წევრმა დავით ქართველიშვილმა და აღნიშნა, რომ კონგრესზე კონტროლის დაკარგვამ თეთრ სახლს საკანონმდებლო არტერიები გადაუკეტა. გარდა ამისა, ექსპერტი წერს, რომ რამდენიმე მიმართულებით ტრამპის შესუსტებამ ის საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე გადართვისკენ აიძულა.

„2026 წლის შუალედურ არჩევნებში რესპუბლიკური პარტიის მარცხმა დონალდ ტრამპი, მისი მმართველობის დასრულებამდე ორი წლით ადრე, კლასიკურ „კოჭლ იხვად“ აქცია. თუმცა, 2024 წლის არჩევნებთან შედარებით არის მნიშვნელოვანი პროგრესი: კონგრესში არც ერთი მიცვალებული არ იქნა არჩეული – ამჯერად ექსპერიმენტის სახით, ყველა გამარჯვებული ცოცხალია.

მიუხედავად ამ სიახლისა, კონგრესზე კონტროლის დაკარგვამ თეთრ სახლს საკანონმდებლო არტერიები გადაუკეტა: ოპოზიციური წარმომადგენელთა პალატა გამოძიებების კასკადსა და მიუჯეტურ ბლოკადას ამზადებს, ხოლო დაკარგული სენატი მოსამართლეთა დანიშვნებს ბლოკავს. შიდა ბერკეტებს მოკლებული და ბლოკირებული პრეზიდენტი იძულებულია, საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე გადაერთოს და აღმასრულებელი გრძანებულებების მიღმა დაიმალოს, სანამ მისი მიმავალი გავლენის ირგვლივ გადარჩენისთვის სასტიკი გრძოლა იშლება.

MAGA-ს არქიტექტურის საკვანძო ფიგურებისთვის – ვიცეპრეზიდენტ ჯეი დი ვენსისა და სახელმწიფო მდივან მარკო რუბიოსთვის, დადგა „ჭეშმარიტების მომენტი“ და პერსონალური პოლიტიკური არჩევანის გაკეთების ჟამი, სადაც „ბელადისადმი“ ღია ღალატი (ყველას ახსოვს მაიკ პენსის ეპიზოდი) მყისიერი თვითმკვლელობის ტოლფასია. ვენსი ბოლომდე ტრამპზე მიჯაჭვული დარჩება: როგორც მოძრაობის პირდაპირი იდეოლოგიური მემკვიდრე, მას არ შეუძლია ერთი ნაბიჯითაც კი გადაუხვიოს ერთხელ გაკეთებულ არჩევანს. მისი ერთადერთი სტრატეგია 2028 წლისკენ მიმავალ გზაზე – ტრამპისადმი ერთგულების წმინდად შენარჩუნებაა, ხოლოდ განადგურების დაბრალება – „დიფ სთეითის“ საბოტაჟსა და სისტემურ მედია-შეთქმულებაზე.

მარკო რუბიო კი, პირიქით, ტექნოკრატიული დისტანცირების სცენარს ჩართავს და დახარვეზებული რეჟიმის ნანგრევებიდან გადარჩენას შეეცდება. სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელის სტატუსით ის ტოქსიკური შიდა დღის წესრიგიდან ეროვნული უსაფრთხოების სფეროში გადავა. საერთო ქაოსის ფონზე ის ერთადერთ საღად მოაზროვნე ლიდერის იმიჯს აყალიბებს. მისი გათვლა პრაგმატული და ცივია: ფოკუსირება ჩინეთთან დაპირისპირებასა და ლათინოამერიკულ ვექტორზე, რათა მომდევნო პრაიმერიზისთვის წარდგეს ერთადერთ კომპრომისულ ლიდერად, რომელსაც ძალუძს გააერთიანოს MAGA-ს რადიკალები და სასოწარკვეთილი ზომიერი ძალები.



უახლოესი ორი წელი მემკვიდრეთა დამქანცველ ომად გადაიქცევა, საიდანაც დაუზიანებელი არავინ გამოვა. ტრამპისგან „გათავისუფლების“ მცდელობა ახლა შეუძლებელია – მისი კონტროლი შიდაპარტიულ არჩევნებზე კვლავ აბსოლუტურია, რაც ვენსს აიძულებს ტოქსიკურ პრეზიდენტთან ერთად ერთ ნავში ჩაიძიროს დემოკრატიული უმრავლესობის დარტყმების ქვეშ. რუბიო და ზომიერი ფრთა ფრთხილი დისტანციის ხარჯზე ეცდებიან წყლის ზედაპირზე გადარჩენას, მაგრამ მთავარი შეკითხვა ღიად რჩება: მოასწრებენ თუ არა ისინი სამაშველო ტივტივების აგებას მანამ, სანამ პოლიტიკური ოლიმპი საბოლოოდ შთანთქავს მთელ პარტიულ ელიტას მის მიმავალ ლიდერთან ერთად?“ – წერს **დავით ქართველიშვილი.**



ნიკოლ ფაშინიანი:

რუკას თუ შევხედავთ, ყველაფერი ნათელი გახდება!


სამხრეთ კავკასია როდესაც სხვადასხვა კონფლიქტით და უთანხმოებით გამოწვეული არ არის, უზარმაზარი სარგებელი მოაქვს სამივე ქვეყნისთვის, საქართველოსთვის, სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის, – ამის შესახებ სომხეთის პრემიერ-მინისტრმა **ნიკოლ ფაშინიანმა** ბრიუსელში, **„ევრონიუსის“** მიერ ორგანიზებულ ევროკავშირის გაფართოების სამიტზე ქართველ ჟურნალისტებს განუცხადა.

მისივე თქმით, საქართველოს ევროპული პოლიტიკა სომხეთისთვის მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია.

„საქართველომ ევროკავშირში წევრობის კანდიდატის სტატუსი როცა მიიღო, ეს სომხეთის რესპუბლიკისთვის ძალიან შთამაგონებელი ფაქტი იყო. ცხადია, საქართველოს ევროპული პოლიტიკა სომხეთის რესპუბლიკისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია. ამიტომ ჩვენს მოძმე საქართველოს ვუსურვებთ ყოველივე საუკეთესოს და წარმატებებს ევროპულ გზაზე. ჩვენ ერთად უფრო საინტერესო პარტნიორები ვიქნებით გარე სამყაროსთვის. ნებისმიერი სახის პროექტიდან გაცილებით მეტ სარგებელს მივიღებთ, თუ ერთად ვიმოქმედებთ.

ახლა რუკაზე სამხრეთ კავკასიას თუ შევხედავთ, აშკარაა, რომ ეს რეგიონი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დამაკავშირებელი ხიდია. ეს ჩვენი მნიშვნელოვანი უპირატესობაა. როდესაც სხვადასხვა კონფლიქტით, წინააღმდეგობებითა და უთანხმოებებით ერთმანეთისგან გამიჯნული არ ვართ, ეს ხიდი სათანადოდ ფუნქციონირებს და უზარმაზარი სარგებელი მოაქვს ჩვენი სამივე ქვეყნისთვის – საქართველოსთვის, სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის, ასევე მთელი მსოფლიოსთვის.

ავიღოთ ცენტრალური აზია, მისთვის სარგებელი უზარმაზარი იქნება. ასევე შევხედოთ ევროკავშირს და სხვა მიმართულებებს, ეს ყველაფერი აშკარაა. იცით, უბრალოდ რუკას უნდა შევხედოთ და ყველაფერი ნათელი გახდება“, – განაცხადა **ფაშინიანმა.**





ირაკლი ღარიბაშვილი:

ეს პროცესი აგებულია მხოლოდ ცილისწამებაზე!

ექსპრემიერის პროცესი დაიხურა!



თბილისის საქალაქო სასამართლოში კორუფციულ დანაშაულში ბრალდებული ყოფილი პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის საქმის არსებითი განხილვა დაიწყო. სასამართლო სხდომას დაესწრო თავად ღარიბაშვილიც, დარბაზში კი ყოფილი პრემიერის ოჯახის წევრები იმყოფებოდნენ. მათ გარდა, სასამართლო სხდომას ესწრებოდა იუსტიციის ყოფილი მინისტრი რატი ბრეგაძე და ყოფილი დეპუტატი ლუკა კურტანიძე. „ქართული ოცნების“ არც ყოფილი და მით უმეტეს მოქმედი მაღალჩინოსანი, თუ პარტიის წევრი, რომლებიც პოლიტიკურ ველზე ირაკლი ღარიბაშვილმა შემოიყვანა, სასამართლო პროცესზე არ მივიდნენ.

ახლა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ თამარ მჭედლიშვილმა უნდა თქვას, არის თუ არა ქვეყნის ორგზის პრემიერ-მინისტრი დამნაშავე ერისა და ქვეყნის წინაშე. სასამართლოს სხდომათა დარბაზში ღარიბაშვილის შემოსვლისთანავე ლუკა კურტანიძემ მიმართა: „ერისკაცს გაუმარჯოს“, რომელსაც მოსამართლემ შენიშვნა მისცა და წესრიგის დაცვისკენ მოუწოდა.

ამის შემდეგ დაიწყო ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი სასამართლო პროცესი.

მოსამართლე თამარ მჭედლიშვილი: **„ქართულ ენას სრულყოფილად ფლობთ?“**

ირაკლი ღარიბაშვილი: **„ვცდილობ“.**

თამარ მჭედლიშვილი: **„ხუმრობა არ მეშლება, მაგრამ პროცესზე ჩარჩოებში ჩავსხდეთ“,** – მიმართა მოსამართლემ ღარიბაშვილს და დასძინა – **„ცნობთ თუ არა წარდგენილ ბრალდებამი თავს დამნაშავედ?“**

მოსამართლის კითხვას ღარიბაშვილმა უარყოფითი პასუხი გასცა და თქვა: **„არა“.**

ამის შემდეგ ბრალდების მხარემ სასამართლოს დახურვის შუამდგომლობა დააყენა, მოსამართლემ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა და კორუფციულ დანაშაულში ბრალდებული ექსპრემიერის სასამართლო პროცესი დაიხურა. ამიერიდან, ყოფილი პრემიერის სასამართლო პროცესები დახურულ რეჟიმში წარიმართება. საქმის პროკურორის ანი ლეკიაშვილის შუამდგომლობის მიხედვით, საქმე თავდაცვის სამინისტროსთანაა დაკავშირებული, სხდომაზე კი მოქმედი და ყოფილი თანამდებობის პირები დაიკითხებიან, სადაც შესაძლოა, პროფესიული და სახელმწიფო მნიშვნელობის საიდუმლოებები გაჟღერდეს. ასევე, პროკურორის თქმით, შუამდგომლობის საფუძველი, პირთა პერსონალური ინფორმაციის დაცვაცაა.

აღნიშნულ შუამდგომლობას კატეგორიულად არ დაეთანხმა დაცვის მხარე. როგორც ადვოკატმა **სოსო გარათაშვილმა** განაცხადა, ჯუანშერ ბურჭულაძის საქმეც თავდაცვის სამინისტროს და საიდუმლო შესყიდვებს ეხებოდა, თუმცა ის არ დახურულა. ადვოკატის თქმით, იმისთვის, რომ საზოგადოებამ სიმართლე გაიგოს, სხდომა არ უნდა დაიხუროს. **„ქვეყნის მოსახლეობა იმსახურებს, იცოდეს, თუ როგორი ბრალი აქვს ირაკლი ღარიბაშვილს და რა მტკიცებულებები აქვთ მის წინააღმდეგ“.**

სხდომის დახურვის წინააღმდეგი იყო თავად ირაკლი ღარიბაშვილიც, რომელმაც აღნიშნა, რომ პროცესი საჯაროდ და გამჭვირვალედ უნდა ჩატარდეს, რათა მთელმა საზოგადოებამ დაინახოს ამ ბრალდების უსაფუძვლობა. ირაკლი ღარიბაშვილმა მოსამართლეს მიმართა თხოვნით, სხდომა არ დაეხურა.

„რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით უნდა გავაკეთო განმარტებები“, – განაცხადა **ღარიბაშვილმა,** თუმცა, მას სიტყვა მოსამართლემ შეაწყვეტინა და უთხრა, რომ ახლა სხდომის დახურვაზე მსჯელობდნენ და მხოლოდ აღნიშნულზე უნდა ესაუბრა.

„რაც შეეხება სხდომის დახურვას, რა თქმა უნდა, ამ შუამდგომლობას ვეწინააღმდეგები, მინდა, საზოგადოებამ გაიგოს სიმართლე, რომ ეს არის ცილისწამებაზე აგებული, პოლიტიკურად მოტივირებული საქმე. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ პროცესი საჯაროდ და გამჭვირვალედ ჩატარდეს, რათა მთელმა საზოგადოებამ დაინახოს ამ ბრალდების უსაფუძვლობა, კატეგორიულად ვეწინააღმდეგები ამ შუამდგომლობას და მოგმართავთ თხოვნით, ეს შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდეს“, – განაცხადა **ირაკლი ღარიბაშვილმა.**

თუმცა, მიუხედავად ამისა, მოსამართლემ სხდომა დახურა. დახურულ სხდომაზე კი ყოფილმა პრემიერმა განაცხადა, რომ ვიდრე დაიწყებოდა გამოძიება, მასზე განხორციელდა ფსიქიკური და მორალური წამების ფაქტი იმ მიზნით, რომ მას ქრთამის აღების შესახებ მომავალი ბრალდება ეღიარებინა. ყოფილ პრემიერს კონკრეტული პირები ამ ეტაპზე არ დაუსახელებია. დაცვის მხარე კი მოუწოდებს საგამოძიებო ორგანოს, რომ ღარიბაშვილის მიმართ წამების ფაქტის განხორციელებაზე გამოძიება დაიწყოს.



ადვოკატის **სოსო გარათაშვილის** განცხადებით, სასამართლოზე არ დაუსახელებია არც-ერთი გვარი, მაგრამ გამოძიების მსვლელობის პროცესში დაასახელებს გვარს, ვისი მხრიდანაც მომდინარეობდა შეთავაზება და ყველა დეტალს განუმარტავს გამოძიებას. მისი თქმით, ეს არ არის ჰაერზე გაკეთებული განცხადება, რადგან ირაკლი ღარიბაშვილს შეუძლია დაასაბუთოს მის განცხადებაში მითითებული ფაქტების სისწორე.

„როდესაც ხდება შეთავაზება, რომ მოხდეს აღიარება იმ დანაშაულის, რომელიც ითვალისწინებს 15 წლამდე პატიმრობას და ეს მოდის კომპეტენტური, უფლებამოსილი მოხელის მხრიდან, ასეთ შემთხვევაში, სწორედ ეს არის 144-ე პრიმა მუხლის დეფინიცია, რაც მოიცავს წამებას. რაც შეეხება სასამართლო სხდომის დახურვას, ემსახურება იმას, რომ საზოგადოებამ არ გაიგოს ბრალდების უსაფუძვლობა და საქმის დეტალები. საქმე არის პოლიტიზებული, ბრალდება გახლავთ სრულიად დაუსაბუთებელი.

პროკურორის შუამდგომლობაში არ იყო არც ერთი კონკრეტული ფაქტი, მტკიცებულება დასახელებული, რის გამოც უნდა დახურულიყო აღნიშნული სხდომა. პროკურატურა სხდომის დახურვას იყენებს, როგორც ინსტრუმენტს, რომ მიჩქმალოს საქმე, დაუმალოს ამ საქმის დეტალები მოსახლეობას, მედია-საშუალებებს, უფლებადამცველებს. ეს წარმოადგენს ძალიან სერიოზულ დარღვევას.

უნდა ითქვას, რომ ეს საქმე მთლიანად არის დაფუძნებული სხვა საქმეზე, ჯუანშერ ბურჭულაძის, ვასილ მხეიძისა და სხვათა მიმართ ბრალდების საქმეზე, რომელი საქმეც არ ყოფილა დახურულ რეჟიმში წარმართული, განაჩენი არ ყოფილა დახურული. ფაქტობრივად, ორი ჩვენების გარდა, ეს საქმე იმეორებს იგივე საქმეს. რასაკვირველია, ეს მიგვაჩნია უდიდეს უსამართლობად. ჩვენ მიერ გადადგმული იქნება კონტრნაბიჯები. ვაცნობებთ ყველას, ვისაც საჭიროა და სათანადო ინსტანციებში გამოვიყენებთ ამ ყველაფერს“, – განაცხადა **სოსო გარათაშვილმა.**

საქმის კიდევ ერთი ადვოკატი **ნათია თამაზაშვილი** აცხადებს, რომ საქმეში არსებული 48 ტომიდან მხოლოდ ორი – **ჯუანშერ ბურჭულაძისა** და **ვასილ მხეიძის** ჩვენებაა **ირაკლი ღარიბაშვილის** „ბრალის დამადასტურებელი“.

„ძალიან სამწუხაროა, როცა შენი ქვეყნის ორგზის პრემიერ-მინისტრს, ყოფილ შინაგან და თავდაცვის მინისტრს ამ შეთითხნილი ბრალითა და ცილისმწამებლური კამპანიის ფარგლებში ასამართლებენ. მაინც ვფიქრობ, რომ ეს საქმე შემთხვევით არ უნდა იყოს შერჩეული იმიტომ, რომ ყველასთვის ცნობილია, რა გააკეთა ირაკლიმ თავდაცვის სამინისტროსთვის, ზოგადად, თავდაცვისუნარიანობის განვითარებისთვის და რა დამოკიდებულება აქვს სამინისტროსა და ჯარს მის მიმართ. ვფიქრობ, ეს პროცესები გახდება იმის დასტური და ნათელს მოჰფენს იმ გარემოებებს, რაზეც ირაკლი საუბრობდა თავისივე წერილებში“, – განაცხადა **ნათია თამაზაშვილმა.**



სასამართლოს დარბაზში იმყოფებოდნენ ყოფილი პრემიერ-მინისტრის ოჯახის წევრები – შვილი, ასევე მეუღლე, ნუნუკა თამაზაშვილი, რომელსაც მედიასთან კომენტარი არ გაუკეთებია. მოკლე კომენტარი გააკეთა სიმამრმა თამაზ თამაშვილმა და თქვა, რომ ყველაფერი გაირკვევა.

მედიასთან ვრცლად ისაუბრა იუსტიციის ექსმინისტრმა **რატი ბრეგაძემ,** რომელმაც თქვა, რომ ამაყობს ირაკლი ღარიბაშვილთან მუშაობის პერიოდით, – ასე უპასუხა იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა რატი ბრეგაძემ კითხვაზე, არის თუ არა ნაწყენი თავდაცვის ყოფილ მინისტრზე, ჯუანშერ ბურჭულაძეზე, რომელმაც მისი მეგობრის წინააღმდეგ მისცა ჩვენება.



„ძალიან პირადი საკითხია, ვინ ვისზე შეიძლება ნაწყენი იყოს, ან ვინ ვისზე – არა. ღმერთია ყველას მსაჯული და არ ვაპირებ ამ საკითხებზე, მით უმეტეს, საჯაროდ საუბარს... ყველაფერზე სასამართლო იმსჯელებს, მე შემიძლია ვთქვა ის, რომ მე ნამდვილად ამაყი ვარ, რომ მომიწია ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად მუშაობა, სხვა ყველაფერზე იმსჯელებს სასამართლო. ეს ყველაფერი ჩემთვის ძალიან ემოციურია, მე, რა თქმა უნდა, ვარ სუბიექტური, ყველაფერზე სასამართლო იმსჯელებს. მე ვიყავი მოსული ჩემი მეგობრის სანახავად, რომელიც ძალიან მომენატრა. მინდა, მას მხნეობა ვუსურვო და მინდა, ასევე, ვუსურვო, რომ ძალიან მალე დაუბრუნდეს თავის ოჯახს“, – განაცხადა **რატი ბრეგაძემ.**

კითხვაზე, „შეუკერა“ თუ არა ეს საქმე ირაკლი ღარიბაშვილს მამუკა მდინარაძემ და რატომ, იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა უპასუხა, რომ პოლიტიკურ განცხადებებს არ აკეთებს.

„მე არ ვარ დღეს პოლიტიკაში, შესაბამისად, არ ვაკეთებ არავითარ პოლიტიკურ განცხადებას, რადგანაც მეგობართან ვარ მოსული... ყველაფერზე დაცვის მხარემ უნდა ისაუბროს. პოლიტიკაში არ ვარ, რომ რამე სახის პოლიტიკური განცხადება გავაკეთო“, – განაცხადა **რატი ბრეგაძემ.**

თამთა ქარჩავა

საქართველოს რესპუბლიკა

მძიმე ჟამი

№155-156. ხუთშაბათი, 5 ნოემბერი, 2026 წელი

საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები ახალ ეტაპზე გადადის. მმართველი გუნდის ინიციატივამ, რომელიც ოპოზიციური პარტიების არაკონსტიტუციურად გამოცხადებას და საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანას გულისხმობს, საზოგადოებაში მწვავე დებატები გამოიწვია. პოლიტიკური სპექტრი და ექსპერტები აქტიურად მსჯელობენ იმის შესახებ, შეიქმნება თუ არა ვაკუუმი ამ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ვინ აითვისებს თავისუფალ პოლიტიკურ სივრცეს და რამდენად რეალურია ველის გაჯანსაღება.




ვინ დაიკავებს ოპოზიციურ ველს და გაჯანსაღდება თუ არა ქვეყანაში პოლიტიკური პროცესი?

ეროვნულ ინტერესებზე დაფუძნებული ძალებისთვის.

ამ პოზიციას სრულად იზიარებს ორგანიზაცია „ნეიტრალური საქართველოც“. მათი წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ პოლიტიკური ველი კრიმინალური ჯგუფებისგან უნდა გათავისუფლდეს.



„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის პოლიტიკური ველი გათავისუფლდეს კრიმინალებისაგან და მათი ადგილი დაიკავონ იმ ადამიანებმა, რომელთაც მიაჩნიათ, რომ პოლიტიკური ბრძოლის მეთოდი დემოკრატიულ ქვეყნებში აღიარებული მეთოდებია“, – აცხადებს „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ რეგიონული მდივანი **ლევან ნიკოლეიშვილი.**



პარტიის პოლიტიკური მდივანი **გიძინა გიორგობიანი** კი აღნიშნავს, რომ პოლიტიკური ველის დეკრიმინალიზაცია გარდაუვალია და ახალი ოპოზიციის შემოსვლა ხელოვნურად არ უნდა მოხდეს, თუმცა პროცესი საბოლოოდ ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებას გამოაჯანსაღებს.



სრულიად განსხვავებული შეფასება აქვს პარტია „გახარია საქართველოსთვის“ ლიდერს **გიორგი გახარიას.** მისი მტკიცებით, ოპოზიციური ველის გაწმენდა და „მოსახერხებელი ოპოზიციის“ შექმნა ზუსტად იმეორებს მოსკოვის პოლიტიკურ სცენარს, სადაც არჩევნები მხოლოდ ილუზიაა.

„საქართველოში უკვე ვხედავთ ახალი პარტიების შექმნის ნიშნებს. ეს ადამიანები ან ვერ აცნობიერებენ, რომ მათთვის წინასწარ განსაზღვრულ როლს ასრულებენ, ან შეგნებულად შედიან გარიგებაში პრორუსულ რეჟიმთან“, – აცხადებს გიორგი გახარია.

რა მოხდება საკონსტიტუციო სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში?

ანალიტიკოსთა და ექსპერტების ნაწილი ვარაუდობს, რომ პარტიების შესაძლო აპრძალვის შემთხვევაში, პოლიტიკურ ველზე ახალი ნიშები გაჩნდება, რომელთა დასაკავებლადაც მცირე ორგანიზაციები და ახალი ინიციატივები იბრძოლებენ. თუმცა რჩება მაღალი რისკი იმისა, რომ საზოგადოებამ ახალ ძალებს „სატელიტის“ იარლიყი წინასწარ მიაკეროს.

მიუხედავად იმისა, რომ მმართველი გუნდი პროცესში ჯანსაღი კონკურენციის პერსპექტივას ხედავს, კრიტიკოსები და ოპოზიციური ლიდერები ამ ნაბიჯში პლურალიზმის დასრულებას და ავტორიტარული მოდელის დამკვიდრებას ამჩნევენ. საბოლოოდ, პოლიტიკური ველის გაჯანსაღება იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად შეძლებენ ახალი სუბიექტები ამომრჩევლის ნდობის მოპოვებას და რეალური ალტერნატივის შექმნას.

ყველა ახალ პარტიას „სატელიტის“ იარლიყი არ უნდა მივაწებოთ



ანალიტიკოსი ვახტანგ ძაბირაძე ქვეყანაში ახალი პოლიტიკური ძალების გამოჩენას არსებული ოპოზიციური ელიტის სისუსტითა და ამომრჩევლის გაერთიანების უუნარობით ხსნის. მისი შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ახალი ორგანიზაცია, შესაძლოა, მართლაც სატელიტური იყოს, ყველა მათგანი წინასწარ მრუდად არ უნდა შევაფასოთ.

„დღეს ჩვენს ქვეყანაში ოპოზიციური ელიტის კრიზისია. არც ერთი ის ოპოზიციური პარტია, რომელმაც ბარიერი გადალახა, არ ფლობს იმის რესურსს, რომ ოპოზიციური ამომრჩეველი სრულად გააერთიანოს ან ერთიანი მიმართულებით წარმართოს. სწორედ ეს ვაკუუმი იწვევს მუდმივ მცდელობას, შეიქმნას ახალი პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებიც პროცესში სიახლეს შეიტანენ. წინასწარი იარლიყების მიწებების მანკიერი პრაქტიკა ძალიან დამღუპველია. არასწორია ყველა ახალგამოჩენილი ძალისთვის წინასწარ „ქართული ოცნების სატელიტის“ სტატუსის მიწერა“, – ამბობს **ძაბირაძე.**

ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ახალ სუბიექტებს შორის, შესაძლოა, რეალური და დამოუკიდებელი ორგანიზაციებიც იყვნენ და ოპოზიციამ კონკურენტების მიმართ სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს.

„30-წლიანი ქართული პოლიტიკური რეალობისთვის დამახასიათებელია მიდგომა, რომლის მიხედვითაც განსხვავებული აზრის მქონე ან კონკურენტი ძალა „ხალხის მტრად“ ცხადდება. როდესაც ოპოზიციაც „ქართული ოცნების“ მსგავსად ყველა მიუღებელ პოლიტიკურ ჯგუფს მოღალატედ და „ნაციონალად“ რაცხავს, კითხვა ჩნდება – რა განსხვავება იქნება მათსა და მმართველ ძალას შორის ხელისუფლების ცვლილების შემთხვევაში.

კატეგორიულად ვემიჯნები გიორგი გახარიას პოზიციას, თითქოს ახალი პარტიები, ნებსით თუ უნებლიეთ, ხელისუფლების თამაშს თამაშობენ. თუ თავად გახარიას პარტია, მიუხედავად „ოცნებიდან“ წამოსვლისა, სრულფასოვან ოპოზიციურ ძალად მოიაზრება, აბსურდულია იმის მტკიცება, რომ ჯერ არშექმნილი ახალი პარტიები აუცილებლად მმართველი გუნდის ინტერესებს გაატარებენ“, – ამბობს ანალიტიკოსი.

ლიკა ბერიკაშვილი

დღეს ჩვენს ქვეყანაში ოპოზიციური ელიტის კრიზისია. არც ერთი ის ოპოზიციური პარტია, რომელმაც ბარიერი გადალახა, არ ფლობს იმის რესურსს, რომ ოპოზიციური ამომრჩეველი სრულად გააერთიანოს ან ერთიანი მიმართულებით წარმართოს. სწორედ ეს ვაკუუმი იწვევს მუდმივ მცდელობას, შეიქმნას ახალი პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებიც პროცესში სიახლეს შეიტანენ.

„ნაციონალური მოძრაობა“ „ოპოზიციის ალიანსის“ წევრი აღარ არის!



„ნაციონალური მოძრაობა“ აღარ იყო ამ ალიანსში. სადაც აღარ ვიყავით, იქიდან როგორ უნდა გამოვერიცხეთ ვინმეს, როგორ უნდა ვყოფილიყავით იმ ალიანსის ლოგოზე, რომლის წევრებიც არ ვართ? – ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ დროებითი მმართველი საბჭოს თავმჯდომარემ **ირაკლი ფავლენიშვილმა** განაცხადა.

მისივე თქმით, „ნაციონალური მოძრაობა“ თვეების განმავლობაში ამბობდა, რომ ალიანსში თავს ვერ ხედავდა და არც აქტივობებში იღებდა მონაწილეობას.

> **„ჩვენ ნათქვამი გვქონდა, რომ ამ ალიანსში თავს ვეღარ ვხედავდით და აღარ ვიყავით ამ ალიანსის წევრი. საჯაროდ არის ხელმისაწვდომი განცხადებებიც, ამიტომ შეგიძლიათ, ნახოთ. მარტო ჩემი განცხადების იმედად რომ არ იყოთ, ზოგადად ძალიან მავშვურია იმაზე საუბარი, რომ მე გამოვრიცხე. ბოლო თვეების განმავლობაში აღარ ვიღებთ მონაწილეობას არც შეხვედრებში, არც რაიმე ტიპის აქტივობაში და საერთოდ არანაირი კონტაქტი ამ ხალხთან არ გვქონია. მათ შორის, საჯაროდაც ნათქვამი მქონდა, რომ ალიანსში არ ვიყავით“,** – განაცხადა **ფავლენიშვილმა.**

ჟურნალისტმა **ირაკლი ფავლენიშვილს** კითხვა დაუსვა **თამარ ჩერგოლეიშვილის** განცხადებაზე, სადაც ფედერალისტების ლიდერი აღნიშნავს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ „ოპოზიციის ალიანსიდან“ გარიცხეს.

კითხვის საპასუხოდ ფავლენიშვილმა აღნიშნა, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ვერ გარიცხავდნენ იმ ალიანსიდან, რომელშიც პარტია უკვე აღარ იყო.

> **„ეს ადამიანი ცდილობს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ პირადი სიძულვილი გამოაჩინოს. არ ვაპირებ, მუდმივად ასეთ ბავშვურ ბრალდებებს პასუხი გავცე. თითქოს მაგრები არიან და ალიანსიდან გაგვრიცხეს. „ნაციონალური მოძრაობა“ აღარ იყო ამ ალიანსში. სადაც აღარ ვიყავით, იქიდან როგორ უნდა გავერიცხეთ ვინმეს? ანუ, სადაც მონაწილეობას არ ვიღებდით არც ერთ შეხვედრაში, ვამბობდით, რომ ამ ალიანსის წევრები აღარ ვიყავით. იქიდან როგორ უნდა გაგრიცხოს ადამიანმა, სადაც არ ხარ? როგორ უნდა ვყოფილიყავით იმ ალიანსის ლოგოზე, რომლის წევრებიც არ ვართ? „ნაციონალურ მოძრაობას“ მკაფიო პოზიცია ჰქონდა და არ მიგვაჩნდა ეს საკითხი ისეთი ყურადღების ღირსად, რომ ცალკე ბრიფინგი უნდა ჩაგვეტარებინა. ძალიან ცინიკური არის ეს ყველაფერი, 21-ე საუკუნეა და შეგიძლიათ, გადახედოთ არქივს და ნახოთ ჩემი, ანა წითლიძის, სხვა პოლიტიკური პირების განცხადებები“,** – განაცხადა **ფავლენიშვილმა.**



ცნობისთვის, ოპოზიციის ალიანსმა საკუთარ ფეისბუქის გვერდზე ახალი ფოტო გააზიარა, რომელზეც „ნაციონალური მოძრაობის“ ლოგო დატანილი აღარ არის. ამასთან, ამ თემაზე პოსტი გამოაქვეყნა „ფედერალისტების“ ლიდერმა **თამარ ჩერგოლეიშვილმაც. „ჩვენი პარი ყველასთვის ღიაა, ვინც წესებს დაიცავს“,** – წერს **თამარ ჩერგოლეიშვილი.**





პოლიტოლოგის რამაზ საყვარელიძის განცხადებით, ტერიტორიებს დახარგებული ჩინეთის მოახლოება ჩრდილო კავკასიასთან, რუსეთისთვის სარისკოა. თუმცა ის, რაც დღეს აფხაზეთში ხდება, კერძოდ, აფხაზურ-სომხური დაპირისპირება, პოლიტოლოგის მოსაზრებით, ამ კონფლიქტის გამწვავება მოსალოდნელია, რადგან ორივე მხარეს აქვს თავისი პოზიციის სამართლიანობის არგუმენტი. იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთმა გააგრძელეს რუსეთისთვის უარის თქმა მათი სურვილების აღსრულებაზე, ასეთ შემთხვევაში, საყვარელიძე ამბობს, რომ რუსეთი ეცდება აფხაზეთის დესტაბილიზაციას და არ არის გამორიცხული, სომხების ამუამინდელი შეტევა აფხაზეთზე, სწორედ რუსეთის დაკვეთა იყოს აფხაზეთზე ზეწოლის მიზნით.

For.ge დღეს **რამაზ საყვარელიძეს** ესაუბრება.



სომხების „ფარული“ შეტევა აფხაზეთზე რუსების ინტრიგა ხომ არ არის?

– „შავი ზღვის სანაპიროს სომხები“ – რუსულენოვანი ენციკლოპედია მოიცავს შავი ზღვის რეგიონში მცხოვრები სომხების ისტორიას, კულტურასა და ეთნოგრაფიულ საკითხებს. გამოცემის ავტორი საუბრობს აფხაზეთზე, კერძოდ, ეთნოსმა აბაზას შესახებ, რამაც აფხაზეთში დიდი რეზონანსი და ანტისომხური განწყობები გამოიწვია. აფხაზურ-სომხური დაპირისპირება პერიოდულად მწვავდება, მაგრამ როგორ ფიქრობთ, ეს ფარული ეთნიკური კონფლიქტი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მყიფე შიდაპოლიტიკურ პრობლემას დღევანდელ ოკუპირებულ აფხაზეთში?

– კონფლიქტის ზოგადი კანონები გვკარნახობს, რომ კონფლიქტი ჩნდება იქ, სადაც თითოეულ მხარეს აქვს ინტერესი, რომლის დაკმაყოფილებაში ხელს უშლის მეორე მხარე. ეს სიტუაცია გვაქვს აფხაზებს და იქაურ სომხებს შორის – ორივეს უნდა, იყოს აფხაზეთის გატონი. ამ კონფლიქტის გამწვავება მოსალოდნელია, რადგან ორივე მხარეს აქვს თავისი პოზიციის სამართლიანობის არგუმენტი. აფხაზების არგუმენტი ისაა, რომ ის სატიტულო ნაციაა. სომხების არგუმენტი ისაა, რომ ისინი თავდაუზოგავად ემსახურებოდნენ აფხაზებს ქართველებთან ომში. ახლა სურთ ამ ვალის დაბრუნება.

აფხაზების მიმართ რუსებსაც იგივე ლოგიკის მოთხოვნები აქვთ – მათ გაუკეთეს აფხაზებს, რაც მათ სურდათ ქართველებთან ომის დროს და ახლა უნდათ აფხაზებისგან რუსების სურვილების აღსრულება. ამ მიმართულებითაც კონფლიქტია, ოღონდ ფარული. როცა ერთი ადამიანი მეორეს კისერზე შემჯდარი მიჰყავს იქ, სადაც უნდოდა, მერე ეს მეორე მოსთხოვს კისერზე შესმას, რადგან ვალს გადახდა უნდა. ამიტომ, ჭკვიანი ადამიანი არ იღებს ვალს, რომლის გადახდაც გაუჭირდება. აფხაზებმა სხვების საშუალებით გაიმარჯვეს ომში, მაგრამ საკუთარ ვალზე არ იფიქრეს, სხვა ქვეყნების დახმარება საჩუქრად მიიჩნიეს. ხდება ის, რაც უნდა მომხდარიყო.

– კრემლი ეთნიკურ სომხურ მოსახლეობას ხშირად იყენებს საკუთარი ინტერესების გასატარებლად და ადგილობრივ აფხაზურ პოლიტიკურ ელიტაზე გავლენის შესანარჩუნებლად. მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ ქსელებსა და შიდა პოლიტიკურ დებატებში ქსენოფობიური რიტორიკა მატულობს, დე ფაქტო ხელისუფლება ცდილობს ვითარების ესკალაცია არ დაუშვას, რადგან აცნობიერებენ, რომ მსგავსი ეთნიკური დაპირისპირება რეგიონის შიდა სტაბილურობას სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის. ვის ინტერესში შეიძლება შედიოდეს ეთნიკური დაპირისპირება?

– თუ აფხაზებმა გააგრძელეს რუსებისთვის უარის თქმა მათი სურვილების აღსრულებაზე, რა თქმა უნდა, რუსეთი ეცდება აფხაზეთის დესტაბილიზაციას. აფხაზების დასასჯელად რუსეთი სამხედრო ძალას ვერ გამოიყენებს, სკანდალური ფაქტი იქნება, რაც აფხაზებსაც მუდმივად ემახსოვრებათ. ამ პირობებში უფრო ლოგიკურია ფარული ხერხების გამოყენება, სადაც რუსეთი არც გამოჩნდება. ამიტომ, არ არის გამორიცხული, რომ სომხების ამჟამინდელი შეტევა აფხაზებზე, სწორედ რუსეთის დაკვეთა იყოს აფხაზებზე ზეწოლის მიზნით.



„კავკასიისკენ ჩინეთი მოიწევს, რაც არ იქნება კომფორტული რუსეთისთვის“

– გატონო რამაზ, როცა აფხაზეთზე ვსაუბროთ, ალბათ, უნდა ვისაუბროთ სამხრეთ კავკასიის ჭრილში. დღეს, როდესაც ჩვენ გარშემო ყველგან ცეცხლია, პლიუს არასტაბილური ევროპა, ვის უნდა აძლევდეს ხელს სამხრეთ კავკასიაში ეთნიკური დაპირისპირება? დღეს, სტაბილური არის ჩინეთი, თვით აშშ-ზიც კი ვხედავთ, რა რყევებია...

– ქვეყნის რყევა კი არა, სახლში სკამი რომ დაგხვდეთ გადაადგილებული, დაიწყებთ იმის ძებნას, ვინც ეს გააკეთა და ჰკითხავთ მოტივს. ხმაშეწყობილი რყევები დასავლეთის ქვეყნებში უდავოდ ვიღაცის შეკვეთაა. ზოგიერთებმა ისიც თქვეს – რუსეთის მოწყობილია, ევროპის დასუსტება უნდაო. ალოგიკური ვერსიაა, რატომ ახლა და არა მაშინ, როცა ევროპამ დაიწყო უკრაინის მომარაგება იარაღით. მიზეზი, ალბათ, სხვა რამ არის. რაც შეეხება სამხრეთ კავკასიას, აქ კი ნამდვილად რუსეთის ინტერესი მეგულება. კავკასიისკენ ჩინეთი მოიწევს, რაც არ იქნება კომფორტული რუსეთისთვის. ციმბირში ჩინეთმა მეტრი რამ წაართვა რუსეთს. ტერიტორიებს დახარგებული ჩინეთის მოახლოება ჩრდილო კავკასიასთან რუსეთისთვის სარისკოა.

– რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს დაღინებს, როგორ ფიქრობთ, რა მოხდება? თუკი აიკრძალა ეს პოლიტიკური ძალები, ასეთ შემთხვევაში, როგორ პოლიტიკურ ველს ვხედებულობთ? „ხალხის ძალა“ და „ნეიტრალური საქართველო“ ხელისუფლებასთან გაიგივებული ძალაა, შესაბამისად, როგორც სრულყოფილი ოპოზიცია, ვერ იქნება...

– უნგრეთისა და სერბეთის მაგალითზე ვხედავთ, რომ მომგებიანი აღარაა ოპოზიციისთვის რადიკალური პოზიციის დაკავება. ამ ქვეყნებში მომხდარი მოვლენები მაგალითებად მომყავს იმიტომ, რომ ორივე ქვეყანაში ოპოზიციამ გაიზიარა ხელისუფლების კურსი, მხოლოდ კურუფციაში დაადანაშაულა და მოიგო. შეიძლება საქართველოშიც იგივე პოლიტიკური განწყობა შეიქმნას მას შემდეგ, რაც გაქრება „ნაციონალების“ დაბრუნების შიში.

– საზოგადოებისთვის კარგად ცნობილმა ადამიანებმა – ირაკლი გოგავამ, სოსო მანჯავიძემ, ზაალ ლუხუტაშვილმა და სხვებმა დააფუძნეს ახალი საზოგადოებრივ-ინტელექტუალური პლატფორმა – „თანხმობა ახალი საქართველოსთვის“. ორგანიზაციის წევრები მთავარ მიზნად ქვეყნის განვითარების 10-წლიანი გეგმის შემუშავებას ასახელებენ. შეიქმნება დარგობრივი და რეგიონული სამუშაო ჯგუფები, რომლებსაც სხვადასხვა სფეროს ექსპერტები და მეცნიერები უხელმძღვანელებენ. ზუსტად ერთ წელიწადში კი საზოგადოებას ქვეყნის განვითარების 10-წლიან გეგმას წარუდგენენ. განვითარების დარგობრივი და რეგიონული გეგმების გარდა, ორგანიზაციის წევრების მიზანია, წარმოადგინონ ინიციატივები და რეფორმის მოდელები. მაშინ, როდესაც პოლიტიკური ველი თავისუფლდება, რამდენად აუცილებელია და ამავე დროს მნიშვნელოვანია ასეთი პლატფორმის შემოსვლა?

– თქვენი ჩამონათვალის გარდა, მემარცხენეები გაჩნდნენ კიდევ, **ლევან ლორთქიფანიძის** ინიციატივით. რა თქმა უნდა, პოლიტიკური ინტელექტუალური ჯგუფების თუ პარტიების დაბადება აუცილებელია, მით უფრო, რეიტინგიანი შემადგენლობა თუ აქვს. ვიმეორებ, უნგრეთისა და სერბეთის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ოპოზიციური პარტიების სიახლოვეს საქართველოს თუ სხვა ქვეყნების პოლიტიკურ ჯგუფებთან შეიძლება აღარ ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა, თუ სწორად მოიძებნა მათგან განმასხვავებელი ნიშნები და საქართველოს ინტერესებზე პასუხი. ღმერთმა ხელი მოუმართოს ყველა ჯგუფს, რომელიც შექმნის პოლიტიკური ინტელექტის მოზაიკას.

ესაუბრა

თამთა ქარჩავა

საქართველოს რესპუბლიკა

ღმერთი სიყვარულია!

№155-156. ხუთშაბათი, 5 ნოემბერი, 2026 წელი



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი შიო III, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე.

2026.25.X

2026 წლის 25 ოქტომბერი, აჭარა, სოფ. ხიჭაური, ტბელ აბუსერიძის სახ. ტაძარი, სხალთის ეპარქია. ეპარქიის მთავარეპისკოპოსის – მეუფე სპირიდონის ინიციატივითა და ორგანიგატორობით დაგეგმილია ათასამდე ახალშობილის, მოგარდისა და მოუნათლავი გრდასრული ადამიანის ნათლობა!

ნათლობის ზეციური დღე აჭარაში

ტაძრის ეზოს მიღმა იდეალური წესრიგია. მრევლთა და სტუმართა 1000-მდე მსუბუქი ავტომანქანის განლაგებას მუნიციპალიტეტის წესრიგის დამცველები დიდი ყურადღებითა და მზრუნველობით აწესრიგებენ. ფეხზე დგას გამგეობა სრული შემადგენლობით, მისი მერის გატონ ომარ ტაკიძის თავჯაცობით... მას გვერდში უდგანან ქედისა და ხულოს მერები (მ. თურმანიძე, ვ. ბერიძე). ტაძრის ეზოში 5000-მდე მრევლია შეკრებილი და მისი რაოდენობა თანდათან მატულობს.

დილის 10 საათია, ტაძარში წირვა იწყება, წირავს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, დიდი მეუფე შიო III აღავლენს. მას ეხმარებიან სინოდის წევრები და ეპარქიის მღვდელმთავრები. ტაძრის ეზოში დამონტაჟებულია დიდი მონიტორი, რომელშიც შესანიშნავად ჩანს წირვის მიმდინარეობა. მრევლი მას დიდი ინტერესით შეჰყურებს. ტაძრის ეზოში უკვე შვიდი ათასამდე იზრდება მრევლის რაოდენობა. ტაძარში და მის ეზოში ვის არ ნახავთ: პარლამენტის დეპუტატებს, მეცნიერებს, ბიზნესმენებს, ჟურნალისტებს, ტელეგადამღებ ოპერატორებს, სტუმრებს თბილისიდან, გურიიდან, ქობულეთიდან, ჩაქვიდან, ხულოდან...

ტაძარში ვხედავ ირაკლი ბერიძეს, უგანათლებულეს და პატრიოტ კაცს, რომელმაც საკუთარი ფეხები რომში დაკარგა და „ხელოვნური ფეხებითაა“ მობრძანებული. ვეკითხები, როგორ შეძლო ჩამოსვლა, მეუბნება, რომ ძალზე აფასებს მეუფე სპირიდონს და ამ შესანიშნავ დღეს როგორ გამოვაკლდებოდიო...

პატრიარქი წირავს... ამასთანავე უფალს ევედრება მოსანათლავ ადამიანებზე მადლის გადმოსვლას. მახსენდება მისი პატრიარქად არჩევის შემდეგ სამადლობელ სიტყვაში ნათქვამი: „ღმერთო, მომეცი ძალა, რათა ღირსეულად ვატარო პატრიარქობის მძიმე ჯვარი, როგორც უღელი ტკბილი და ტვირთი მსუბუქი“. იგი უფალს, ნათლობის გაცისკროვნებას სთხოვს!



საყოველთაო ნათლობის დროს...

12 საათია. ტაძრის ეზოში ნათლობისთვის ყველაფერი მზადაა, აწყობილია ორი ხელოვნური აუზი, თითოეული 6-6 კვ.მ.-ია, იქვეა დიდი ემბაზებიც, იწყება ნათლობა. თითოეულ აუზს, ნაკურთხი წყლით სავსეს, 4-5 მღვდელი ემსახურება.

პირველ რიგში – ახალშობილებს, რომლებიც შემოსილნი არიან თეთრი, ფაფუკი ტანსაცმლითა და ფაჩუჩებით, მშობლები ხდიან, მღვდელი კი სამჯერ „აყურყუმალავებს“ ნაკურთხ წყალში. ბავშვები ტირიან, მშობლები კი ხარობენ, იცინიან, ლოცავენ თავიანთ პირმშოებს. დიდებს მღვდლები მხოლოდ თავს აყოფინებენ წყალში 3-ჯერ და ლოცავენ. ერთმა მღვდელმა 5-6 წლის ბიჭი აიტაცა ხელში და დგაფუნით 3-ჯერ ამოავლო წყალში, წყალმა გადმოხეთქა ხელოვნური აუზის ზღუდე და დამსწრეთ შეესხა. „მამაო, ჩვენ მონათლულები ვართ“, სიხარულით იღიმება მრევლი. თუ მონათლულები ხართ, ილოცეთ და ითხოვეთ უფლის მადლი – არ დააყოვნა მღვდელმაც.

ყველა მონათლული ადამიანი ამ ნათლობით, ქრისტეს მიმდევარი გახდა, ნათლია კი მისი სულიერი მამა, რომელმაც ნათლულის სულიერ აღზრდაზე უნდა იზრუნოს.

ამიერიდან, ახლად მონათლულს უკვე შეუძლია თქვას უფალი ჩემთანაა! მაგრამ უმთავრესი მიზანი ისაა, რომ იგიც, სულიერად მუდმივად უფალთან უნდა იყოს თავისი რწმენით, შეგნებით, სათნოებით, მოკრძალებითა და მოთმინებით, შეიყვაროს მტერიც, როგორც მოყვასი, იზრუნოს მშობლიური ენის, მამულის დაცვასა და ღირსეული ცხოვრების მოსაწყობად. იყოს ჭეშმარიტი პატრიოტი, იზრუნოს ერზე და ქვეყანაზე, რათა არ მოხდეს შიდა დაპირისპირება – ოჯახში, გვარში, ქვეყანაში. რადგან შინაომლილობის დროს, ერი მუდამ ჰკარგავს რაღაც არსებითს და მერე თაობებითაა საჭირო ამ ხარვეზის ამოსავსებად!

ყველა მონათლული დალოცა პატრიარქმა შიო III-მ და მთავარ ეპისკოპოსმა სპირიდონმა. მათ ყველა მონათლულს გადასცეს ჯვარი. მოსანათლად დარეგისტრირებულ 1000 ადამიანის ნაცვლად, მოინათლა 1300-მდე ყველა ასაკის პიროვნება.

ასე გახდნენ პატრიარქი შიო III და მეუფე სპირიდონი ყველა მონათლულის ნათლიები.

ნათლობის ამ დიდებულ დღესასწაულზე დასასწრებად ხიჭაურს ესტუმრნენ: საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი მეუღლითურთ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი, აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე და აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე. სტუმრობამ დიდი ხიბლი შესძინა შესანიშნავად მოწყობილ ნათლობის ღონისძიებას. მათაც, საპატიო სტუმრებმა, ქრისტესმიერი სიყვარულით მიულოცეს ახლად მონათლულებს გაქრისტიანება და ბედნიერი ცხოვრება უსურვეს. მრევლთა შორის მანდილოსნები ძალზე თბილად შეხვდნენ პირველ ლედის, ქალბატონ თამარ ბაგრატიონს. იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს **სიმბოლურად თითოეული მათგანი ქალბატონ თამარს მადლობას უხდიდა ბაგრატიონთა სამეფო გვარის მიერ ქრისტეს რწმენით საქართველოს მძიმე უღლის 900-წლოვანი ტარებისათვის.**

ნათლობა საღამოს 6 საათამდე გაგრძელდა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ნათლობის ამ პროცესს ახლდა დიდი ენთუზიაზმი, პატივისცემა, სიყვარული, ლოცვა, მოკრძალება, მოთმინება.

ეს იყო ჭეშმარიტად ისტორიული მოვლენა, დიდი ნათლობა!

ღონისძიების დამაგვირგვინებელი ეტაპი გახლდათ მრევლის ზეიმი: აჭარელ ასწლოვანთა ცეკვა, სიმღერა, ლექსი, იუმორი და 200 კაცზე გაწყობილი სატრაპეზო სუფრა.

ასეთ დროს, ბუნებრივია, გამახსენდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის ნაბრძანები: **„ზემო აჭარაში მოღვაწეობის დროს პირველი აჭარელი ხასან ბერიძე 1960 წელს მე მოვნათლე და ნათლიობაც მე ვიკისრე. იგი ჩემი მარჯვენა ხელი იყო და ქრისტეს რწმენის დიდი მიმდევარი გახდა“,** რისთვისაც პატრიარქმა იგი 2021 წლის 21 ივნისს სევერიანე აჭარელ აღ-



მეუფე სპირიდონი

მსარებლად (წმინდანად) შერაცხა და ხსენების დღედ 22 აგვისტო დაადგინა. მას შემდეგ 66 წელი გავიდა, შეიცვალა ცხოვრება, ადამიანთა აზროვნება, დამოკიდებულება ქრისტეს რწმენისადმი, წმიდა წიგნ „ბიბლიისადმი“, რომელშიც ადამიანთა ცივილური ცხოვრების ყველა ნიუანსია განმარტებული. იგი ყველა მეცნიერებათა კრებულია და ადამიანთა ამქვეყნიური არსებობის ნიშანსვეტი. იგი ადამიანის განმანათლებელი წიგნია, რათა ბურუსით მოცულ ბნელ გზას არ დაადგეს, რადგან როგორც დიდი შოთა რუსთაველი ბრძანებდა: „რაღაა იგი სინათლე, რასაც ახლავს ბნელია“. ქართველებმა ხომ „ვეფხისტყაოსანი“ მეორე ბიბლიად მოვნათლეთ და საქორწინო უპირველეს საჩუქრად. ამიტომაა ეს წესი

ერი და ბერი

საქართველოს რესპუბლიკა

დამკვიდრებული აჭარაში, რადგან ქალთა (მანდილოსანთა) საზოგადოების ლიდერი ქალბატონი გულიკო გაბაიძე მაქსიმალურად ცდილობს ნეფე-დედოფალს ქორწილში უძღვნას ქართული პოეზიის შედევრი. ეკლესიამ საერთოდ, გიბლიით უნდა დაასაჩუქროს ახლად შეუღლებულები.

დღევანდელი მსოფლიოს გლობალიზაციის პირობებში ქართველი აუცილებლად უნდა იყოს ქრისტიანი, განათლებული, ცივილიზებული. მარტო კომპიუტერული განათლება არაა საკმარისი, წიგნში ჩადებულ სულს უნდა ეზიაროს.

მიმაჩნია, რომ ქართველ ერზე დიდი ზრუნვის მიზნით ჩვენი მეცნიერ-პრაქტიკოსები, თვეში ერთი დღით უნდა ესტუმრონ ხიჭაურის უნივერსიტეტს და თავიანთი გამოცდილებები ახალგაზრდა თაობებს გაუზიარონ. პირადად ჩვენ მზად ვართ ბატონებთან: ვანო პაპუნიძესთან, ვახტანგ აბულაძესთან, მერაბ ბერიძესთან (ახალციხიდან), შალვა ველიაძესთან და ოთარ ცინარიძესთან, ნიაზ ზოსიძესთან, როინ მალაყმაძესთან, თბილისელ და ბათუმელ მეცნიერებთან ერთად ჩავატაროთ ლექციები. ახალგაზრდა თაობამ უნდა იცოდეს, რომ უკვდავმა ტატომ 22 წლის ასაკში ქართველთა ბედ-იღბალზე პოემა დაწერა, ხოლო ლადო ასათიანმა ქართული ენა ღმერთების ენად გამოაცხადა. ამ ორი ყმაწვილის მაგალითზე ახალგაზრდებს უნდა ვასწავლოთ დროის ფასი, რადგან ჩვენ „წუთისოფელში“ სტუმრად ვცხოვრობთ.

გულწრფელად მიგვაჩნია, რომ 25 ოქტომბრის ნათლობის **ღონისძიება იყო გიორგი ჭყონდიდელისა და დავით აღმაშენებლის 1103 წლის რუის-ურგნისის კრებისა და დამოუკიდებელი (თავისუფალი) საქართველოს პირველი პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის კირიონ მეორისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი დამფუძნებლის ივანე ჯავახიშვილის მიერ სინოდისა და უნივერსიტეტის მეცნიერთა საბჭოს მიერ 1918 წელს, უნივერსიტეტში ჩატარებული გაერთიანებული კრების („საერთო ცოდნის კარად“ მიჩნეული) იდეათა გაგრძელება 21-ე საუკუნეში.**

ეს ერთი და სხვა მრავალი.

გვსურს, ყველა ახლად გაქრისტიანებულმა იცოდეს, რომ იგი ღვთივკურთხეული, მადლიანი და სიყვარულით აღსავსე ერის შვილია, რომ მას ჰყავს უკვდავი დიდი დედა – წმ. მარიამი! და, მისი კალთის ქვეშ იმყოფება ქართველი ერი და სრულიად საქართველო. ამასთან, ქართველმა ერმა შექმნა **უნიკალური, მსოფლიოში გაუგონარი იმპერია, იმპერია – რწმენის, კულტურისა და სიყვარულის და მას გადაშენება არ უწერია!!!**

საქართველო – ქართველი ერის სულიერი და მატერიალური სამკვიდროა მსოფლიოს ცივილიზაციის საგანძურში.

საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვანი (30200) ბერიძეთა გვარის სახელით ვუღოცავთ ყველა ახლად გაქრისტიანებულს ქრისტეს რწმენის ზიარებას. ქართველ ერს კი ამ დიდებული ღონისძიების ჩატარებისთვის უფლის წყალობას.

მადლობა – ჩვენო პატრიარქო, ამ დიდი ნათლობის ჩატარებისათვის.

მადლობა – მეუფე სპირიდონ, დიდებული ქრისტიანული რწმენის ამაღლებისა და ეროვნული ნათლობის ჩატარებისათვის.

მადლობა – ბატონო ზურაბ პატარაძევ, თქვენი მზრუნველობითა და თანადგომით რომ დიდი ნათლობა სრულიად აჭარაში ჩატარდა!

ღმერთი სიყვარულია! და რადგან ჩვენ უფალი იესო გვიყვარს, მაშასადამე იგი ჩვენთან არს!

დაე, ხიჭაურის ტბელ აბუსერიძის სახელობის ეკლესიის სამრეკლოდან მარადჟამს ისმოდეს მშვიდობის ზარი და ქართული ცივილიზაციის დაისს არასოდეს არ შესწრებოდეს პაოზრიობა!

ქრისტესმიერი სიყვარულით,


ვაჟა ბერიძე,

ბერიძეთა გვარის ეთნარქი,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
(ტელ: 599335360).


ჯემალ ბერიძე,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ახალი ტექნოლოგიების მართვის დოქტორი.

თბილისი, 2026 წლის 30 ოქტომბერი



განახლებული და აღორძინებული ეპარქია



ხონისა და სამტრედიის ეპარქიაში 40-მდე სასულიერო პირი მსახურობს, გამრავლდა მონასტრების რიცხვიც.

„გილოცავთ დღევანდელ შესანიშნავ დღესასწაულს – ხონისა და სამტრედიის ეპარქიის განახლების 30 წლისთავს. მთელი ეპოქაა 30 წელიწადი, რომელმაც ძირეულად შეცვალა ხონისა და სამტრედიის ცხოვრება“, – ამის შესახებ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, **შიო მესამემ** ქადაგებისას ისაუბრა.

პატრიარქი ხონისა და სამტრედიის ეპარქიას ეწვია, სადაც დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის ეზოში წმინდა **ფილიმონ ქორიძის** სალოტბარო სკოლა გახსნა.

„თითქმის 85 ტაძარი ან უკვე აშენდა ან მშენებლობის პროცესშია. ეპარქიაში 40-მდე სასულიერო პირი მსახურობს, გამრავლდა მონასტრების რიცხვიც. არანაკლებ მნიშვნელოვანია ხონისა და სამტრედიის სალოტბარო სკოლების ფუნქციონირებაც. დღეს ჩვენ უნდა გავხსნათ სამტრედიის სალოტბარო სკოლის წმ. ფილიმონ ქორიძის სახელობის სალოტბარო შენობაც. აი, ეს კერები ემსახურებიან ქართული გალობის, სიმღერის და ჩვენი დიდი კულტურის გადარჩენას და პოპულარიზაციას“, – განაცხადა **შიო მესამემ.**



მიხეილ ყაველაშვილი ხონისა და სამტრედიის ეპარქიაში წირვას დაესწრო

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი ხონისა და სამტრედიის ეპარქიის განახლებიდან – 30 და ტაძრის კურთხევიდან 15 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო წირვას დაესწრო.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, სადღესასწაულო ღვთისმსახურება სამტრედიაში, დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, შიო III-მ მღვდელმთავრებთან ერთად აღავლინა. საქართველოს პრეზიდენტთან ერთად წირვას ესწრებოდნენ თბილისის მერი კახა კალაძე და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

აღსანიშნავია, რომ ხონისა და სამტრედიის ეპარქიის განახლების 30 წლისთავი საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებიდან 1700-ე წელს შესრულდა.

კახა კალაძე ხონისა და სამტრედიის ეპარქიის მღვდელმთავრებსა და მრევლს ულოცავს!

სიმბოლურია, რომ სწორედ დღეს გაიხსნა სალოტბარო სკოლაც, რასაც დიდი კულტურული და საგანმანათლებლო დანიშნულება გააჩნია სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვის და მთელი ქვეყნისთვის.

ქართული მრავალხმიანი სიმღერა და ტრადიციული გალობა ჩვენი ეროვნული იდენტობის განუყოფელი ნაწილია, რასაც გაფრთხილება და მომავალი თაობებისთვის გადაცემა სჭირდება. სწორედ ამ ამოცანას ემსახურება სალოტბარო სკოლის გახსნა, რომელიც მისცემს შესაძლებლობას ახალგაზრდებს, ჰქონდეთ წვდომა ეროვნულ კულტურასთან, ქართულ ფესვებთან, განვითარდნენ ეროვნული ფასეულობებით. მადლობა ყველას, ვისი ინიციატივით და ძალისხმევით ეს იდეა განხორციელდა და იქცა რეალობად.

„ქედის ღვინის ფესტივალი“



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძესა და აჭარის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მინისტრ დენის სალუქვაძესთან ერთად, „ქედის ღვინის ფესტივალს“ დაესწრო.

ფესტივალი აჭარის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს ინიციატივით, წელს პირველად, ქედის მუნიციპალიტეტში გაიმართა.

„ქედის ღვინის ფესტივალი ეხმარება ქართული ღვინის პოპულარიზაციას და ადგილობრივი მეღვინეობის განვითარებას. ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ არა მხოლოდ ღვინის წარმოების განვითარებას, არამედ ხარისხზე ორიენტირებული მეღვინეობის გაძლიერებას, ადგილობრივი უნიკალური ჯიშებისა და ტრადიციების შენარჩუნებას, ახალი ბაზრების ათვისებასა და ქართული ღვინის კონკურენტუნარიანობის ზრდას. ქედის ღვინის ფესტივალი კარგი შესაძლებლობაა, უფრო ფართო საზოგადოებას გავაცნოთ აჭარის მეღვინეობის პოტენციალი, ადგილობრივი მწარმოებლები და ქართული ღვინის მრავალფეროვნება. მსგავსი ღონისძიებები, ღვინის ტურიზმის განვითარებასა და რეგიონებში ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერებას უზრუნველყოფს“, – აღნიშნა დავით სონღულაშვილმა.

ფესტივალის სტუმრებისთვის მოეწყო ღვინის სადეგუსტაციო და თემატური სივრცეები, სადაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ღვინოებთან ერთად წარმოდგენილი იყო ქართული მეღვინეობის ტრადიციები და აჭარის კულტურული თავისებურებები.

ქურნალისტთა მომფერებელი, თავადაც უღირსეულესი...

ეთერ ჯიშკარიანის ოქროსფრთოსანი წუთისოფელი

ყველა პროფესიას თავისი მომფერებელი სჭირდება, თავისი დამნახავ-გამჩხრეკი, დამფასებელი და, რაც მთავარია, მაღლიერების გამომხატველი. ასეა ყველა წესიერ ქვეყანაში, სადაც დარგის პროფესიონალები და სეფე-სიტყვის მთქმელები ერთმანეთს არ ივიწყებენ, სადაც ღვაწლმოსილ ადამიანს ანგარიშს უწევენ, დამსახურებას აღიარებენ და ღირსეულ პატივს მიაგებენ. ეს ტრადიციაა, კულტურაა, საზოგადოებრივი მეხსიერების ნაწილია. საქართველოში კი, თუ ვინმემ ამ კულტურის დამკვიდრებას საფუძველი ჩაუყარა, ერთ-ერთი პირველი, და ამ საქმეში ნამდვილად გამორჩეული, ქალბატონი ეთერ ჯიშკარიანია.



მართლაც კარგი ჯიშიანი, გონება-ჯიშიანი და საქმითაც ჯიშიანი ქალბატონი! ადამიანი, რომელსაც გუნებამ მისცა იშვიათი უნარი – სხვისი ღვაწლი დაინახოს, სხვისი წარმატებით გაიხაროს, სხვისი სიხარული საკუთარ სიხარულად აქციოს და, საჭიროების შემთხვევაში, ამ სიხარულისთვის საკუთარი შემეჩხერებული ჯიგეც კი არ დაინდოს და გოლოდმდე გამოიცარიელოს.

დღეს ქალბატონი ეთერ ჯიშკარიანი 90 წლისაა. ასაკი, რომელიც თავისთავად პატივისცემას იმსახურებს, მაგრამ ეთერის შემთხვევაში ციფრი მხოლოდ კალენდარული მონაცემია. რადგან ზოგი ადამიანი წლების მატებასთან ერთად წარსულში გადადის, ზოგი კი წლების მიუხედავად, მომავალში ცხოვრობს. ქალბატონი ეთერი სწორედაც ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნის.

ქალბატონი ეთერ ჯიშკარიანი და მე გამომცემლობა „სამშობლოს“ ტალანებში წლები მიმოვდიოდით, მაგრამ როგორღაც ისე მოხდა, ერთმანეთს არც ვიცნობდით. გაცნობა უფრო გვიან, მისი თაოსნობით მოხდა. თუმცა არა, იყო ერთი დეტალი, რომელიც ჩამრჩა და დღემდე მახსოვს.

1990-იანი წლების შუა პერიოდში რამდენჯერმე მოვხვდი ბაკურიანში, გამომცემლობა „სამშობლოს“ დასასვენებელ სახლში. სრულიად შემთხვევით გავიგე მაშინ დიასახლისისგან, რომ ამ სახლს თბილისიდან ერთი დიდებული ქალბატონი ეთერი განაგებდა. მაშინ არც ვიცნობდი და არც ბევრი რამ გამეგო მასზე. უბრალოდ, ის განსაკუთრებული მოწიწება ჩამრჩა გონებაში, რომლითაც დიასახლისი, თავადაც ეთერი, იმ თბილისელ ეთერზე საუბრობდა. ზოგჯერ ადამიანის შესახებ პირველი შთაბეჭდილება მის პირად გაცნობამდე იქმნება. თურმე, არც ვცდებოდი.

გავიდა წლები. არეული 1990-იანებიც გასრულდა და 2000-იანების დასაწყისში უცებ გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოში პირველად ტარდებოდა ამაგდარ და წარმატებულ ურნალისტთა დაჯილდოების ცერემონიალი. ცხადია, გულწრფელად გამიხარდა, რომ ვიღაცას ჩვენს პროფესიულ კორპუსზე ზრუნვა დაეწყო. იმ დროს, როცა ქვეყანა მძიმე სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისიდან ძლივს ამოდიოდა, როცა ბევრი რამ ინგრეოდა და ძველი პროფესიული ტრადიციებიც იკარგებოდა, ვიღაცის გონებაში დაიბადა ურნალისტთა დაჯილდოების, მათი ღვაწლის დაფასებისა და პატივგების მეტად საინტერესო ფორმა.

მაშინდელ ხელისუფლებას და საქართველოს ურნალისტთა კავშირს ამაზე არც უფიქრია. არადა, ურნალისტები ხომ ხშირად სხვისი დამსახურების აღმომჩენები არიან, სხვისი წარმატების აღმწერნი, სხვისი ღვაწლის შემფასებლები, მაგრამ თავად ვინ უნდა შეაფასოს მათი შრომა, ვინ უნდა უთხრას მადლობა მათ, ვინც მთელი ცხოვრება სიმართლის ძიებაში, საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებასა და ქვეყნის სამსახურში გაატარა?

ქალბატონმა ეთერმა ამ კითხვას თავისი ჩინებული საქმით უპასუხა – შექმნა ურნალისტთა საერთაშორისო ფონდი „ოქროს ფრთა“ და დააწესა ყოველწლიური ჯილდო ურნალისტებისთვის – „ოქროს ფრთა“ და „ოქროს კალამი.“ ორივე პრესტიჟული და დაფასებული გრენდი...

მოკლედ, ჩატარდა და ჩატარდა. გაიარა კიდევ ცოტა ხანმა და უკვე თავად ქალბატონი ეთერი მიხმობს თავისთან სამუშაოდ. აქედან დაიწყო ჩემი დაკვირვებაც და გაკვირვებაც.

მალე დამარწმუნა, რომ ჩინებული ორგანიზატორია. დაჯილდოების ფორმაც ამგვარივე ჰქონდა მოფიქრებული. თუმცა ორგანიზატორული ნიჭი მხოლოდ ღონისძიების ჩატარება არ არის. ეს ადამიანების დანახვის, მათი შესაძლებლობების გამოცნობის, საერთო მიზნის გარშემო გაერთიანებისა და საქმის ბოლომდე მიყვანის უნარია. ქალბატონ ეთერს ეს ყველაფერი უხვად აღმოაჩნდა. უბრალოდ, გვერდში დგომა სჭირდებოდა. მეც სხვების მსგავსად, როგორც შემეძლო, ვედექი.

მალე ეს ღონისძიება წელიწდეულად აქცია. ასე დაიბადა და დამკვიდრდა „ოქროს ფრთა“ – საერთაშორისო ჯილდო და საზოგადოებრივი აღიარების განსაკუთრებული სივრცე, რომლის მნიშვნელობაც მხოლოდ გამარჯვებულთა სახელებით არ განისაზღვრება. მისი ნამდვილი ღირებულება იმ ადამიანებშია, რომლებმაც ამ ჯილდოს უკან დაინახეს ყურადღება, პატივისცემა, პროფესიული ღირსების აღიარება და იმის განცდა, რომ მათი მრავალწლიანი შრომა შეუმჩნეველი არ დარჩენილა.

2002 წლიდან მოყოლებული დღემდე ძალიან ბევრს მოეფერა – ღირსეულსაც და, როგორც შემდგომში აღმოჩნდა, არაღირსეულსაც. თუმცა ქალბატონი ეთერი ვანგა არ იყო, ეწინასწარმეტყველა, ვინ რა გზას დაადგებოდა, როცა ურნალისტური საცდურის წინაშე აღმოჩნდებოდა. მან ადამიანებს ნდობა გამოუცხადა, შესაძლებლობა მისცა, მათი პროფესიული ღირსება ირწმუნა. თუ ვინმემ ეს ნდობა ვერ გაამართლა, ეს უკვე მისი პასუხისმგებლობაა და არა იმ ადამიანის ბრალი, ვინც სიკეთე გაიღო.

წლების შემდეგ მას შეუძლია, თავაწეულმა მოხედოს თავის ნაგრამს, თავის „ოქროს ფრთას“ და თავის დიდ ოჯახს - იმ ადამიანებს, რომელთა პროფესიულ ბიოგრაფიებშიც მისი სახელიც ჩაიწერა. შეუძლია, მოხედოს იმ საქმესაც, რომელიც თავისი ღირსეული მეუღლის მემკვიდრეობის პატივისცემითა და საკუთარი დაუცხრომელი ენერგიით შექმნა და წლების განმავლობაში ატარა.

დღეს კი დროა, ჩვენ, მისმა „ოქროს ფრთოსნებმა“, ამჯერად თავად მივაგოთ პატივი. დავუფასოთ გარჯა, ამაგი, ერთგულება, ადამიანური სითბო და ის უამრავი უხილავი საქმე, რომელიც ხშირად არც ოქროსფერი გრწყინვალეგით ჩანს და არც სადღესასწაულო სცენიდან იკითხება.

გულითადად მივულოცოთ 90 წლის იუბილე და ერთად დავლოცოთ საუკუნოვანი იუბილისკენ!

ყველაზე მეტად შესანატრი და მისაბაძი მის პიროვნებაში, ალბათ, სწორედ მისი გამოუსწორებელი ოპტიმიზმია. ახლაც, 90 წლის ასაკში, ისევ რაღაც გრანდიოზულ გეგმაზე ფიქრობს, ფუსფუსებს, რეკავს, ათანხმებს, უთანხმებს, შინაგანად ფორიაქობს – ვაითუ, ისე არ გამოვიდესო. ისევ განსჯაშია, ფიქრში, ზრუნვაში, ისევ რაღაცის გაკეთება უნდა, ისევ ვიღაცის გახარება სურს.

ეს არის მისი მთავარი საიდუმლო. ზოგი ადამიანი ასაკს ითვლის, ქალბატონი ეთერი კი საქმეებს. ზოგი წარსულის მოგონებებით ცხოვრობს, ის ჯერ კიდევ მომავალ ღონისძიებებზე ფიქრობს. ზოგისთვის 90 წელი ცხოვრების შეჯამებაა, მისთვის კი, როგორც ჩანს, მორიგი სამუშაო ეტაპი. და რა შეიძლება იყოს ამაზე უფრო დიდი კომპლიმენტი ადამიანისთვის, რომელმაც მთელი ცხოვრება სხვების დაფასებას მოახმარა?

მან ქართველ ურნალისტთა კოჰორტის საიდუმლოებებშიც ჩაიხედა და რიგ შემთხვევებში გაოცებას ვერ მალავს ხოლმე - ესენი ვინ ყოფილანო, მაგრამ მუნდირის ღირსებას უფრთხილდება და ესეც მისი ხასიათის არაჩვეულებრივი ნიშატია. შეუძლია, ბევრი რამ დაინახოს, ბევრ რამეს არ დაეთანხმოს, ზოგჯერ გულიც დასწყდეს, მაგრამ მაინც ცდილობს, პროფესიის სახე და ღირსება დაიცვას. რადგან ურნალისტიკა მისთვის მხოლოდ პროფესია არ არის – ეს არის პასუხისმგებლობა, საზოგადოებრივი მსახურება და საკუთარი ქვეყნის წინაშე ვალდებულება.

ქალბატონი ეთერის ცხოვრება გვახსენებს ერთ მარტივ, მაგრამ ხშირად დავიწყებულ ჭეშმარიტებას – საზოგადოება მხოლოდ იმით კი არ იზომება, რამდენად აფასებს წარმატებულებს, არამედ იმითაც, რამდენად ახერხებს, დროულად შეამჩნიოს და დააფასოს ისინი, ვინც მთელი ცხოვრება სხვების დაფასებას ემსახურებოდა.

და გოლოს, დღეგრძელობა და ჯანის სიმრთელე მინდა, ვუსურვოთ ამ ყოველი სიკეთით შემკულ მოღვაწე ქალბატონს – საქართველოს ურნალისტთა კორპუსისა და არა მხოლოდ მათი, მომფერებელ ადამიანს, რომელიც ამჯერად თავად გახდა მისაფერებელი.

ქალბატონო ეთერ, თქვენ ცხრა ათეული წლის კი მოიყარეთ, მაგრამ თქვენი სიკეთის ვალი ჯერ კიდევ არ დაგვიფარავს. ამიტომაც გვინდა, დიდხანს იყოთ ჩვენთან – რომ კიდევ ბევრი რამ მოასწროთ, ბევრი ადამიანი გაახაროთ და ჩვენც მოგვცეთ საშუალება, კიდევ ბევრჯერ გითხრათ – გვიყვარხართ და გვეამაყებით!

საუკუნოვან იუბილემდე, ქალბატონო ეთერ! მანამდე კი სულ გახსოვდეთ, რომ თქვენი ღვაწლი მხოლოდ მადლიერების კულტურის დანერგვა-გაძლიერება, მხოლოდ წარსულის დამსახურება კი არა, მომავალი თაობებისთვის დატოვებული მაგალითიცაა. დიახ, ჩინებული მაგალითი.

„ოქროს ფრთოსანთა“ სახელით:
გიგლა გოგეჩია.



ქუთაისი – მოვლენათა ეპიცენტრი

ევროკავშირის Erasmus+ (CBHE) პროგრამის მხარდაჭერით, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში (KIU) საერთაშორისო პროექტის – „პასუხისმგებლიანი და მაღალი ზეგავლენის მქონე უნივერსიტეტები, როგორც მდგრადი ზრდისა და სამეწარმეო საქმიანობის კატალიზატორები საქართველოში“ (RiHEI) დასკვნითი კონფერენცია გაიმართა.

ღონისძიება მისასალმებელი სიტყვით გახსნა KIU-ს კანცლერმა **ლევან კოპალიანმა**, რომელმაც პროექტის ხელმძღვანელებთან ერთად მონაწილეობა მიიღო თამატურ დისკუსიაში. RiHEI მიზნად ისახავს საქართველოს უმაღლესი განათლების ეკოსისტემის გაძლიერებას, უნივერსიტეტებში ინოვაციებისა და სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობას, საუკეთესო ევროპული გამოცდილების გაზიარებას.

საერთაშორისო პროექტში მონაწილეობენ: ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ლოძის უნივერსიტეტი (პოლონეთი), მარტინ ლუთერის ჰალე-ვიტენბერგის უნივერსიტეტი (გერმანია) და მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი (TUM International).

დმანისიც შეუერთდა



საქართველოს მთავრობის ინიციატივით მიმდინარე გამწვანების კამპანიას „ჩემი პირველი ნერგი” დმანისის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებიც შეუერთდნენ.


პროექტის ფარგლებში, 232-მა პირველკლასელმა, მასწავლებლებთან, მშობლებთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, სხვადასხვა სახეობის ხე-მცენარე დარგო.

ხულო და სპორტი

მთაგორაულსა და სოფელ ქვემო ვაშლოვანში ახალი სპორტული მოედნების მშენებლობა დასრულდა.

პროექტის ფარგლებში გაკეთდა ბეტონის საფარი, დამონტაჟდა განათების სისტემა, დაიგო ხელოვნური საფარი, ასევე დამონტაჟდა ლითონის დამცავი გადეები და კალათბურთის ფარები. დასკვნით ეტაპზეა მთა ლოდიძირში ახალი სპორტული მოედნის მშენებლობა და ოთხი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია.

სპორტის განვითარება და ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. სპორტული ინფრასტრუქტურის განახლება და განვითარება მიზნად ისახავს ახალგაზრდების სპორტში ჩაბმის, აქტიური ცხოვრების წესისა და ჯანსაღი გარემოს ხელშეწყობისთვის შესაბამისი პირობების შექმნას.



საით, რუსეთო!

საქართველოს რესპუბლიკა



„როგორ შეიტანა ვლადიმერ პუტინმა განხეთქილება დასავლეთის ქვეყნებს შორის“ – ასეთი სათაურით არის გამოქვეყნებული სტატია ბრიტანულ გაზეთის „ფაინენშელ თაიმსის“ (Financial Times) 3 ნოემბრის ნომერში, რომლის ავტორია ცნობილი პოლიტიკური კომენტატორი და საერთაშორისო მიმომხილველი გიდეონ რიჩმანი. როგორც იგი აღნიშნავს, დასავლურ ალიანსში რუსეთთან ურთიერთობის საკითხზე სამი განსხვავებული მიდგომა ჩამოყალიბდა და თითოეულს თავისი სუსტი წერტილები აქვს. და საერთოდ, „ღირს კი ვლადიმერ პუტინთან ლაპარაკი?“.

გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით:

FINANCIAL TIMES

ღირს კი ვლადიმერ პუტინთან ლაპარაკი?

ანუ როგორ შეიტანა პუტინმა განხეთქილება დასავლეთის ქვეყნებს შორის...

რუსეთის პრეზიდენტს დასავლელი ლიდერებით მანიპულირების დიდი ხნის გამოცდილება აქვს. ჯორჯ ბუში აცხადებდა, რომ „მას თვალებში ჩავხედე, პირდაპირ და სანდო ადამიანად ჩავთვალე... შევძელი მისი სულის დანახვა“. გერმანელ ანგელა მერკელს და ფრანგ ფრანსუა ოლანდს ხანგრძლივი დიპლომატიური მოლაპარაკება ჰქონდათ ვლადიმერ პუტინთან ყირიმის ანექსიის შემდეგ, 2014 წელს, მაგრამ უშედეგოდ. ამერიკელმა სტივ უოტკოფმა, დონალდ ტრამპის ემისარმა, ამას წინათ (დასავლური) გულუბრყვილოება ახალ დონეზე აიყვანა და ვლადიმერ პუტინს „ჯუმანისტი“ უწოდა. მომდევნო დილით კი ქალაქ დნიპროს რკინიგზის სადგურის სარკინეტო დაბომბვის შედეგად 15 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა.

და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, დასავლეთი ვლადიმერ პუტინის რუსეთთან ურთიერთობას აგრძელებს. რუსები, უკრაინელები და ამერიკელები ერთმანეთს მალე აგუდაბიში (არაბთა საემიროებში) შეხვდებიან სამშვიდობო მოლაპარაკებაზე. ამ ფონზე დასავლეთში ჩამოყალიბდა სამი სხვადასხვა მიდგომა ვლადიმერ პუტინისადმი.

პირველს განასახიერებენ სტივ უიტკოფი და ჯარედ კუშნერი, პრეზიდენტის სიძე. ისინი ცდილობენ, აიძულონ უკრაინა დამატებითი ტერიტორიების დათმობაზე, რომლებიც რუსეთს ჯერ კიდევ არა აქვს დაკავებული. იმავდროულად ზრუნავენ საქმიანი გარიგებების დადებაზე რუსეთთან.

მეორე მიდგომა გამოიხატება ფინეთის პრეზიდენტის ალექსანდრე სტუბისა და ნორვეგიის პრემიერ-მინისტრის იონას სტიორეს მოქმედებაში: ეს ორი ლიდერი უკრაინას მტკიცედ უჭერენ მხარს, მაგრამ თვლიან, რომ ევროპელებისათვის აუცილებელია რუსეთთან პირდაპირი კონტაქტები. გასულ კვირას ისინი ვლადიმერ პუტინთან ტელეფონით 90 წუთის განმავლობაში საუბრობდნენ.

მესამე თვალსაზრისი გამოიხატება იმაში, რომ კრემლის მეთაურთან მოლაპარაკება უშედეგო და კონტრპროდუქტიულია. ასეთი მიდგომა პოპულარულია პოლონეთში და ბალტიისპირა ქვეყნებში.

მრავალი თვის განმავლობაში **სტივ უიტკოფი** და **ჯარედ კუშნერი** რუსეთთან და უკრაინასთან დიალოგებში დომინირებდნენ. მათი წინადადებები, რომელთა თანახმად, უკრაინამ ის ტერიტორიებიც უნდა დათმოს (სამშვიდობო ხელშეკრულების დადების მიზნით), რომლებსაც ამჟამად აკონტროლებს, კიევში და ევროკავშირის უმეტეს ქვეყნებში ღალატად იქნა აღქმული. ბოლო დროს ორივე ემისარმა დაიწყო იდეის ინიცირება ომის შემდგომ საქმიანი გარიგების დადებაზე რუსეთთან, ანუ მათი აზრით, კრემლთან სამშვიდობო შეთანხმების დადებაში მიზნესმა ცენტრალური როლი უნდა შეასრულოს. თუმცა ამ წინადადებასაც ევროპის ქვეყნები უკეთეს შემთხვევაში გულუბრყვილობად თვლიან, უარეს შემთხვევაში კი კორუფციულ იდეად.

ალექსანდრე სტუბი და **იონას სტიორე** მჭიდრო კონტაქტში იმყოფებიან **სტივ უიტკოფთან** და **ჯარედ კუშნერთან,** მაგრამ ისინი ასევე თვლიან, რომ როგორც ევროპისათვის, ასევე უკრაინისათვის ცუდი იდეა იქნებოდა მხოლოდ ვაშინგტონს ჰქონდეს ვლადიმერ პუტინთან დიალოგის უფლება, ევროპა კი კრემლთან კავშირიდან „გარიყული იყოს“. მათ ორივეს სურთ ევროპის დაბრუნება „თამაშში“.

ფინეთისა და ნორვეგიის ლიდერებს, ვლადიმერ პუტინთან საუბრის წინ, ფართო კონსულტაციები ჰქონდათ უკრაინის პრეზიდენტთან ვოლოდიმერ ზელენსკისთან. მათ რუსეთის ლიდერთან საუბრის დროს ისარგებლეს მომენტით და უთხრეს, რომ ზელენსკი დაინტერესებულია მასთან პირდაპირი მოლაპარაკებით როგორც ტერიტორიულ საკითხებზე, ასევე უსაფრთხოების გარანტიებზე – როგორც უკრაინისთვის, ასევე რუსეთისათვის. თავის მხრივ, ვლადიმერ პუტინმა, როგორც ჩანს, თანხმობა განაცხადა, უკრაინის მეთაურს შეხვდეს, მაგრამ მხოლოდ იმ დროს, როცა ნათელი გახდება – დელეგაციების მოლაპარაკების შედეგად საბოლოო შეთანხმება უკვე ახლოსაა.

და საბოლოო შეთანხმების დადება რომ მოახლოვდეს, ამ მიზნით რუსეთის, ფინეთისა და ნორვეგიის ლიდერებმა განიხილეს **„ნდობის განმტკიცების ზომები“,** რომლებშიც შეიძლება მოიცავდეს ცეცხლის ნაწილობრივ შეწყვეტას ენერგოობიექტების მიმართ, მარცვლეულისა და სურსათის დაუბრკოლებელ, უსაფრთხო ექსპორტს, ტყვეების გაცვლას.

გარკვეულ ეტაპზე, **სტუბი** და **სტიორე** გეგმავენ, რომ გვერდზე გადგნენ და კრემლთან დიალოგის წარმართვა გერმანიას, საფრანგეთსა და გაერთიანებულ სამეფოს (ასევე ევროკავშირსა და, შესაძლოა, იტალიას) გადასცენ, თუმცა ისინი უკვე ზოგიერთმა ევროპელმა კოლეგამ მწვავედ გააკრიტიკა: დანიის პრემიერ-მინისტრმა **ნეტე ფრედერიქსენმა** განაცხადა, რომ **„ძალიან სკეპტიკური დამოკიდებულება აქვს ნორვეგიისა და ფინეთის ინიციატივის მიმართ“,** რომელსაც, მისი აზრით, ევროპულ ერთიანობისათვის ძირის გამოთხრა შეუძლია და, შესაბამისად, რუსეთზე გრიუსელის ზეწოლას შეასუსტებს.

შესაძლოა, **სტუბისა** და **სტიორეს** მდგომარეობა იმანაც გაართულა, რომ პუტინი მათ დამცველად გამოვიდა და ისინი შეაქო – **„ევროპაში არიან ადამიანები, რომლებსაც არ სურთ რუსეთისთვის სტრატეგიული მარცხის მიყენება (როგორც ამას ზოგიერთები ცდილობენ), არამედ სურთ, დაამყარონ გარკვეული სახის კონსტრუქციული დიალოგი“. უნდა იყოს თუ არა ევროპის მიზანი რუსეთის „სტრატეგიული მარცხი“? ეს საკითხი მართლაც დევს ალექსანდრე სტუბისა და მეტე ფრედერიქსენის განაკეცებს შორის დავაში.**


დანიელი ლიდერისათვის – და მათთვისაც, ვინც მეტე ფრედერიქსენისვით ფიქრობს – ომის დასრულების ერთადერთ მისაღებ ვარიანტს რუსეთის დამარცხება და პუტინის რეჟიმის კრახი წარმოადგენს.

მაგრამ **სტუბ-სტიორის** განაკში რუსეთის „სტრატეგიული მარცხის“ იდეას სახიფათო ქიმერად (ილუზიად) თვლიან, რომლის მიღწევა შეუძლებელია. ისინი მიიჩნევენ, რომ რუსეთის მარცხი ნაკლებსავარაუდოა და თუნდაც რუსეთი დამარცხდეს, შედეგი ევროპისთვის არცთუ ისე უვნებელი იქნება. უკრაინაში ომის დასრულების მცდელობის პარალელურად, ისინი უკვე ფიქრობენ იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ევროპისა და რუსეთის ურთიერთობა ომის შემდგომ პერიოდში.

პუტინთან მოლაპარაკებასთან დაკავშირებულ შიდადასავლურ დავაში ყოველ მხარეს აქვს თავისი **„სუსტი წერტილები“. დონალდ ტრამპის** ადმინისტრაციის რწმენა იმაზე, რომ რუსეთი შეიძლება სამშვიდობო მოლაპარაკებაზე რაღაც ეკონომიკური სარგებლის შეთავაზებით დაითანხმო, პუტინის მოტივაციის მცდარ აღქმას ეფუძნება. რუსეთი უკრაინას თავს დაესხა არა რაღაც ეკონომიკური მიზეზებით [არამედ გეოპოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად], ამიტომ ომს კრემლი ნავთობზე [დიზელის საწვავზე] გარიგების შედეგად არ დაასრულებს.

თუმცა ისინი, ვინც რუსეთის სტრატეგიულ დამარცხებას მხარს უჭერენ, ამჟამად ვერ გვთავაზობენ დამაჯერებელ ხედვას იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ეს მიზანი იქნას მიღწეული. ამასთან, ისინი ხშირად სათანადოდ არ აფასებენ იმ უზარმაზარ ზარალს, რომელსაც უკრაინა ომის კიდევ რამდენიმე წლით გაგრძელების შემთხვევაში მიიღებს. მეორე მხრივ, ის ევროპელები, რომლებიც ახლა პუტინთან დიალოგის დაწყებას ცდილობენ, შესაძლოა, საკუთარ თავს ატყუებენ იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად არის პუტინი რეალურად მზად სამშვიდობო მოლაპარაკებებისთვის. ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ რუსეთის ლიდერი ზამთრის განმავლობაში უკრაინის მუხლებზე დაჩოქებას აპირებს და ამ მიზნით ცდილობს, გაანადგუროს უკრაინის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურისა და მრეწველობის მნიშვნელოვანი ნაწილი.

რაც შეეხება თვითონ ვლადიმერ პუტინს, ის საკუთარი ილუზიების ტყვეობაშია. რუსეთის ლიდერი მუდმივად აჭარბებს რუსეთის მიერ გრძოლის ველზე მიღწეულ წარმატებებს და, ამავდროულად, აკნინებს უკრაინის მედგარ და შეუდრეკელ წინააღმდეგობას. მოკლედ, უკრაინაში მშვიდობის დამყარება მშვენიერი რამ იქნებოდა, თუმცა, როგორც ჩანს, მშვიდობამდე ჯერ კიდევ შორია.



მოამზადა
სიმონ კილაძემ

ზელენსკიმ მელანია ტრამპი „პრინცესა ოლგას ორდენით“ დააჯილდოვა

უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ აშშ-ის პირველი ლედი მელანია ტრამპი უკრაინის ჰუმანიტარულ მხარდაჭერაში პირადი წვლილისთვის „პრინცესა ოლგას ორდენით“ დააჯილდოვა.

ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ბრძანებულებაშია ნათქვამი.



კერძოდ, ბრძანებულების მიხედვით, ზელენსკიმ მელანია ტრამპს ჯილდო გადასცა „უკრაინის ჰუმანიტარულ მხარდაჭერაში მისი მნიშვნელოვანი პირადი წვლილისთვის, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით აქტიური და საქველმოქმედო საქმიანობისთვის, რომელიც მიზნად ისახავს უკრაინელი ბავშვების, რუსეთის აგრესიის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების, რუსეთის მიერ დროებით ოკუპირებული უკრაინის ტერიტორიებიდან უკანონოდ დეპორტირებული და იძულებით გადაადგილებული პირების გადარჩენას“.

ცნობისთვის, აშშ-ის პირველმა ლედიმ **მელანია ტრამპმა** უკრაინის ქალაქ ოლეშკიში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას 23 ოქტომბერს მიაღწია. 2 ნოემბერს აშშ-ის პირველმა ლედიმ განაცხადა, რომ ცეცხლის შეწყვეტის დროს, ჰუმანიტარული მისიის ფარგლებში, ოლეშკიდან თითქმის 800 ადამიანი გაიყვანეს. ამასთან, მელანია ტრამპი რუსეთისა და უკრაინის წარმომადგენლების შეხვედრას ხუთშაბათს უმასპინძლებს.

ოჰ, ეს არჩევნები

გოლო ათი დღის განმავლობაში, სამ ქვეყანაში ჩატარდა არჩევნები: ბრაზილიაში, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში, უკვე, მერამდენედ, გოლსონაროსა და ლულას ოჯახები დაუპირისპირდა ერთმანეთს. ამჯერად, ექსპრეზიდენტის ვაჟი, ფლავიო გოლსონარო და ქვეყნის მოქმედი პრეზიდენტი, 80 წლის ლულა და სილვა აღმოჩნდნენ ერთმანეთის პირისპირ.

ლულამ სამპროცენტიანი სხვაობით დაამარცხა გოლსონარო და, შესაბამისად, პრეზიდენტის პოსტს მეოთხედ დაიკავებს. მისთვის ეს ბრძოლა მარტივი არ ყოფილა, რადგან ცხოვრების გაძვირებისა და კრიმინალის ზრდის გამო, ბრაზილიის მოსახლეობაში უკმაყოფილებამ იმძლავრა.

დამარცხებული გოლსონარო ამერიკაში გაიქცა. მანამდე, მას პასპორტი ჩამოართვეს, რადგან, კონფუციულ გარიგებებში მონაწილეობისთვის სდებდნენ ბრალს. არჩევნები ჩატარდა სერბეთშიც, სადაც, ათწლიანი მმართველობის შემდეგ, ხალხმა პრეზიდენტი ალექსანდარ ვუჩიჩი გადაირჩია. არჩევნები დამაჯერებლად მოიგო ბლოკმა, სტუდენტური სია. ისრაელში არჩევნები 2023 წლის 7 ოქტომბრის ტრაგედიის ხსოვნის ფონზე ჩატარდა. სრულიად ბუნებრივია, რომ ისრაელის ამომრჩევლისთვის მთავარი საკითხი ქვეყნის უსაფრთხოება და უსაფრთხოების ძალების წარუმატებლობისთვის პასუხისმგებლობის საკითხი დარჩა, რომლებმაც ვერ შეძლეს ჰამასის თავდასხმის თავიდან აცილება და შემდგომი სწრაფი რეაგირება.

არჩევნებს ისრაელში ყურადღებით აკვირდებოდა მთელი მსოფლიო. საკითხი ასე იდგა: შეძლებდა თუ არა ბენიამინ ნეთანიაჰუ ქვეყნისთვის ასეთ რთულ ვითარებაში ძალაუფლების შენარჩუნებას? უკვე, რამდენიმე წელია, რაც ის ოპოზიციას ამარცხებს. პრემიერ-მინისტრის ბენიამინ ნეთანიაჰუს ბლოკმა, ახლაც, პირველ ადგილი დაიკავა. რაც შეეხება ოპოზიციურ ბლოკს, რომელსაც ყოფილი სამხედრო პირი გადი აიზენკოტი ხელმძღვანელობს, მეორე ადგილზე გავიდა, თუმცა, ამ მონაცემებით, ერთპიროვნულად, ვერც ერთი პარტია ვერ ახერხებს ქვეყნის სათავეში მოსვლას. ხელისუფლებაში მოსვლა მხოლოდ კოალიციური მთავრობის შექმნის გზით იქნება შესაძლებელი, რაც ურთულესი ამოცანაა! მიმდინარე სიტუაციაში, ახალი კოალიციის შესაქმნელად, ნეთანიაჰუ ოპოზიციური ბანაკიდან ვინმეს თავის მხარეს გადაბირებას შეეცდება, თუმცა, პრემიერ-მინისტრის წარსული პოლიტიკური მანევრების გამო, რომელიც ოპოზიციას ახლაც ახსოვს, ეს საკმაოდ რთული იქნება. ოპოზიციის ამჟამინდელი ლიდერებიდან, ბევრი ნეთანიაჰუს მოკავშირე ან მისი კოალიციის წევრია, მაგრამ მის მიმართ იმედგაცრუებულები, ახლა, ძველებურად აღარ ენდობიან მას. მთავრობის ჩამოსაყალიბებლად, ნეთანიაჰუმ, შესაძლოა, ოპოზიციური ბანაკიდან ვინმეს გაერთიანებული მთავრობის შექმნა შესთავაზოს, რომელშიც ოპოზიცია და ნეთანიაჰუს ბლოკი ერთად იმუშავებენ.



ექსპერტების აზრით, თუ აიზენკოტი ნეთანიაჰუს შეთავაზებით მოიხიბლება, ის სერიოზულ შეცდომას დაუშვებს. პირველ რიგში, ამომრჩევლისადმი მიცემულ სიტყვას დაარღვევს, რაც მისი საარჩევნო პერსპექტივის გაწირვას ნიშნავს. სათქმელია ისიც, რომ მას პოლიტიკურ ინტრიგებში მანიპულირების ნეთანიაჰუსნაირი გამოცდილება არ გააჩნია. ერთი სიტყვით, აიზენკოტი კიდევ ერთი ოპოზიციური გენერლის, ბენი განცის გედს გაიმეორებს, რომელიც წინასაარჩევნო მორევმა ჩაყლაპა. ჩიხიდან გამოსავალი მხოლოდ ერთია: მთავრობა არაბუნი ბლოკის ხმების ჩამოყალიბდეს, რომელიც მესამე ადგილზე გავიდა, მაგრამ არც ერთ პარტიას მასთან თანამშრომლობა არ სურს.

თუ ჩიხიდან გამოსავალი ვერ მოიძებნა, ქვეყანას რყევები არ ასცდება. ისრაელის პრეზიდენტს ხელახლა მოუწევს რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა. ეს კი, არც პოლიტიკოსებს აძლევს ხელს და არც ქვეყანას გამოადგება. რეგიონი ცეცხლოვან კონფლიქტებშია გახვეული. ჰუსიტები საუდის არაბეთს უტევენ. ირანი ყველას ემუქრება ირგვლივ. მოკლედ, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ისრაელს ჰაერივით სჭირდება ახალი და ეფექტური ხელმძღვანელობა.

ზელენსკი კორეულ მარყუჟში მოქცა!



გაეროს გენერალურ ასამბლეაზე ზელენსკის მიერ გაკეთებული, ერთი შეხედვით, სრულიად უწყინარი განაცხადება, რომ უკრაინამ სამხრეთ კორეას ორი ჩრდილო კორეელი სამხედრო ტყვე გადასცა, კიევსა და სეულს შორის განხეთქილების საგნად იქცა, რომელიც დღემდე გრძელდება. მართლაც, უკრაინის პრეზიდენტის ამ სიტყვებში, თითქოს, სასჯაღლო არაფერია, მაგრამ უკრაინის მიერ ინფორმაციის საჯაროდ გამჟღავნებამ სამხრეთ კორეის პრეზიდენტი ლი ჯე მიონი უკიდურესად გააღიზიანა. მან კიევს გასაიდუმლოებული ინფორმაციის შესახებ მიღწეული შეთანხმების დარღვევაში დასდო ბრალი და უკრაინისგან ბოდიშის მოხდა მოითხოვა.

კიევი კი, ირწმუნება, რომ ფაქტის დამალვის პირობა არავისთვის მიუცია, და როცა საქმე ტყვეებს ეხება, ისინი არასდროს არაფერს მალავენ. შესაბამისად, მათ ბოდიშიც არ აქვთ მოსახდელი. განაწყენებულმა სეულმა კიევიდან ჯერ ელჩი გაიწვია, შემდეგ კი, რამდენიმე დიპლომატი. კიევი სეულის დამშვიდებას ცდილობს, მაგრამ არაფერი გამოსდის, ირწმუნება რა, რომ ზელინსკის არავითარი ბოროტი ზრახვა არ ჰქონია, და მის მიერ გაუღერებული ინფორმაცია მთელი მსოფლიოსთვის იყო ცნობილი. შეგახსენებთ, რომ 2024 წლის მიწურულიდან, ჩრდილოეთ კორეამ, უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის მხარეს საბრძოლველად, 25000-მდე ჯარისკაცი გაგზავნა. რაც შეეხება სამხრეთ კორეას, ის სერიოზული მოთამაშეა უკრაინისთვის, რადგან დასავლეთის ბლოკის მნიშვნელოვანი წევრია და საერთაშორისო არენაზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. სამხრეთ კორეა დიდ ფინანსურ და სამხედრო-ტექნიკურ დამხმარებას უწევს უკრაინას. ასეთი მოკავშირის დაკარგვა, ცხადია, უკრაინისთვის ძალიან მტკივნეულია.

სეულისთვის, ჩრდილო კორეელი ტყვეების რეპატრიაციის საკითხი უკიდურესად დელიკატურია. ის შიშობს, რომ ასეთმა ინფორმაციამ, შეიძლება, ურთიერთობა სეულსა და ფხენიანს შორის საშინლად დაძაბოს. საინტერესოა, რომ ჩრდილოეთ კორეის მხრიდან, ზელენსკის განცხადებას უკმაყოფილება არ მოჰყოლია. რეჟიმს ამ საკითხზე, ჯერ, კომენტარი არ გაუკეთებია, და არც აღიარებს, რომ მისი ჯარისკაცები ტყვედ ჩავარდნენ. ფხენიანმა, ასევე, განაცხადა, რომ სეულთან დიალოგით, ზოგადად, დაინტერესებული არ არის. ექსპერტების აზრით, სკანდალი სამხრეთ- კორეის მმართველ პარტიასა და მის ოპოზიციას შორის არსებული მწვავე დაპირისპირების გამო გახმაურდა. პარტიებს შორის ურთიერთობა კი, საომარი მდგომარეობის დაწესებისა და წინა პრეზიდენტის დაპატიმრების შემდეგ გამწვავდა. ოპოზიციამ სამხრეთ კორეის პრეზიდენტი ტყვეთა გადაცემის დამალვაში დაადანაშაულა. ოპოზიციამ ეს განცხადება მას შემდეგ გაკეთდა, რაც სამხრეთ კორეამ უკრაინას მოუწოდა, შეეწყვიტა უსაფუძვლო ბრალდებები იმასთან დაკავშირებით, რომ სეული რუსეთის საწვავის დეფიციტის შემსუბუქებით, მოსკოვის წინააღმდეგ სანქციებს ძირს უთხრის.

მანამდე, ბრიტანულმა გაზეთმა **The Guardian**-მა, პორტის ჩანაწერებსა და გემების თვალთვალის მონაცემებზე დაყრდნობით, გაავრცელა ინფორმაცია, რომ სამხრეთ კორეის პორტებში, რუსეთში გასაგზავნად, ტანკერებზე 176 ათას ტონაზე მეტი საწვავი ჩაიტვირთა. გაზეთის ცნობით, ამ გემებიდან ზოგიერთი ბრიტანეთისა და ევროკავშირის სანქციების ქვეშაა. ამასთან დაკავშირებით, კიევმა განაცხადა, რომ სამხრეთ კორეიდან მოსკოვისთვის ნავთობის მიწოდება, რუსულ ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებზე თავდასხმების შედეგად წარმოქმნილი საწვავის დეფიციტის კომპენსირებაში დაეხმარა რუსეთს. სეული კი, კატეგორიულად უარყოფს კიევის ყველა ბრალდებას, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: უკრაინასა და სამხრეთ კორეას შორის ურთიერთობა საკმაოდ გართულდა.

ძმობა, რომელსაც ჰიჯაბი არღვევს...



თურქეთის პრეზიდენტმა მისი პირადი მრჩეველი, აზერბაიჯანის წინააღმდეგ კამპანიის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი ოქტაი სარალი თანამდებობიდან გაათავისუფლა, რითაც შერიგების ხელი გაუწოდა აზერბაიჯანის პრეზიდენტს. შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯანის საჯარო სკოლებში, ჰიჯაბის, ანუ თავსაფრის, ტარების შეზღუდვამ თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის უთანხმოება გამოიწვია. თურქეთის მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა ბაქოს გადაწყვეტილება გააკრიტიკეს. აზერბაიჯანის მმართველმა პარტიამ კი, მათ კრიტიკას პოპულისტური და უპასუხისმგებლო უწოდა.

ალიევმა თურქეთის 31 მოქალაქეს, მათ შორის, ცნობილ პოლიტიკოსს ფატიჰ ერბაკანს, ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევის ბრალდებით, აზერბაიჯანში შესვლა აუკრძალა. ფატიჰ ერბაკანი გავლენიანი თურქი პოლიტიკოსია. ის თურქეთის 23-ე პრემიერ-მინისტრის ნეჯმეტინ-ერბაქანის ვაჟი და ახალი კეთილდღეობის პარტიის თავმჯდომარეა. ფაქტმა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დაძაბვა გამოიწვია. თავიდან, ერდოღანმა დუმილი ამჯობინა. მოგვიანებით, მან პირადად დაურეკა ალიევს და თურქულენოვან სახელმწიფოთა ორგანიზაციის ლიდერების სამიტზე მიიწვია, რომელიც თურქეთში იმართება. ერდოღანის შემდეგი ნაბიჯი მისი მრჩევლის გათავისუფლება იყო, რითაც მან გეოპოლიტიკური პრაგმატიზმი და ბაქოსთან და თურქულ სახელმწიფოთა ორგანიზაციასთან კარგი ურთიერთობა უფრო მაღლა დააყენა, ვიდრე, მისი პარტიისთვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური სიმბოლო, ჰიჯაბი.

მოგეხსენებათ, ერდოღანის პოლიტიკური მოძრაობა წლების განმავლობაში თავსაფრის ტარების უფლებისთვის იბრძოდა. შესაბამისად, ეს მისთვის რთული გადაწყვეტილება იყო, რადგან, ამ ნაბიჯს, შესაძლოა, მისი პარტიის ვეტერანები გაენაწყენებინა. და მართლაც, ოქტაი სარალის განთავისუფლების შემდეგ, მმართველ პარტიაში ერდოღანის კრიტიკა გაიზარდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ერდოღანმა ეროვნული ინტერესები პოლიტიკურ შეხედულებებზე მაღლა დააყენა. გადაწყვეტილების მიღებაში ერდოღანს ვეტერანი პოლიტიკოსი, დევლეთ ბაჰჩელიმი დაეხმარა. მან მწვავედ გააკრიტიკა აზერბაიჯანის ხელმძღვანელობის კრიტიკოსები. თითოეული თურქული რესპუბლიკა, თავისთავად, დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოა, განაცხადა ბაჰჩელიმ. მისი თქმით, თურქულ ქვეყნებს შორის თანამშრომლობა ურთიერთპატივისცემაზე, თანასწორობასა და საერთო ინტერესებზეა აგებული, და ეს ყველაფერი წარმოუდგენელია ერთმანეთის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღიარების გარეშე.

პოლიტიკოსმა თურქეთი და აზერბაიჯანი აღწერა, როგორც ორი ძლიერი სახელმწიფო, რომელსაც საერთო გეოპოლიტიკა აქვთ. მან ყველას მოუწოდა, თავიდან აეცილებინათ ნაბიჯები, რომელმაც, შეიძლება, ზიანი მიაყენოს ორ ქვეყანას შორის ძმურ კავშირს. ბაჰჩელის სიტყვებმა დადებითი გავლენა იქონია თურქეთის პრეზიდენტზე და, მთლიანად, თურქეთის საზოგადოებაზე. დევლეთ ბაჰჩელი თურქული ქვეყნების ერთიანობის იდეის ყველაზე თანმიმდევრული მომხრეა და ვერავინ გაბედავს ამ იდეის მიმართ გულგრილობაში მის დადანაშაულებას. როგორც ცნობილმა თურქმა ჟურნალისტმა და პუბლიცისტმა მურად იეტკინმა აღნიშნა, ბაჰჩელიმ აზერბაიჯანის ხელმძღვანელობის კრიტიკოსების მიმართ გამოიყენა სიტყვა, ნიფაკი, რაც თვალთმაქცობას, განხეთქილებასა და უთანხმოებას ნიშნავს. ბაჰჩელის ფრაზა, არ დავუშვათ, რომ ჩვენს შორის ნიფაკის თესლი დაითესოს, მკვეთრად და მკაცრად გაჟღერდა. ბაჰჩელიმ არ დაასახელა აზერბაიჯანის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ კამპანიის კონკრეტული ავტორები, მაგრამ ზუსტად გამოკვეთა ასეთი მცდელობის არსი. თურქეთის მასმედიამ კი, ყველას შეახსენა, რომ თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის განხეთქილება ზოგიერთ ქვეყანას ძალიან გაახარებს. მასმედიამ, სავარაუდოდ, ისრაელი, ირანი, საბერძნეთი და რუსეთი იგულისხმა.



ნუგზარ ბ. რუხაძე
POSTV



სვანეთი – მეოთხედ!

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „მთის ტრასების სააგენტოს“ (MTA) ორგანიზებით, 2027 წლის 20-26 თებერვლის ჩათვლით, სვანეთში, კურორტ თეთნულდზე, ფრირაიდის მსოფლიო ტური გაიმართება. შეჯიბრების კონკრეტული დღე ამინდისა და თოვლის პირობებიდან გამომდინარე გადაწყდება.

საქართველო მეოთხე წელია ფრირაიდის მსოფლიო ტურის კალენდარშია და კვლავ იმ ექვს ექსკლუზიურ ქვეყანას შორისაა, რომლებიც მსოფლიოს გამორჩეულ ფრირაიდერებს მასპინძლობენ. 2027 წლის სეზონზე ტურის ეტაპები ესპანეთში, საფრანგეთში, საქართველოში, ავსტრიაში, აშშ-სა და შვეიცარიაში ჩატარდება. საიუბილეო, მე-20 სეზონზე 53 სპორტსმენი თხილამურებითა და სნოუბორდით სრიალში, ქალებისა და კაცების ოთხ კატეგორიაში, ჩემპიონობისთვის იბრძოლებს.

საქართველომ ფრირაიდის მსოფლიო ტურს პირველად 2024 წელს უმასპინძლა. საერთაშორისო კალენდარში დამკვიდრებამ მესტიისა და თეთნულდის, როგორც ფრირაიდის მიმართულების, ცნობადობის ზრდას შეუწყო ხელი. საქართველოს მთების ბუნებრივი რელიეფი და გაუკვალავ თოვლში სრიალის შესაძლებლობები ქვეყანას ამ სპორტის მოყვარულებისთვის მიმზიდველ ადგილად აქცევს.

საქართველოში მსოფლიო ტურის მასპინძლობა მნიშვნელოვანია ზამთრის სპორტისა და სამთო ტურიზმის განვითარებისთვის. ღონისძიება ქვეყნის შესაძლებლობებს საერთაშორისო აუდიტორიას აცნობს და ხელს უწყობს სვანეთის, როგორც სათხილამურო და სათავგადასავლო ტურიზმის მიმართულების, პოპულარიზაციას.

ფრირაიდი ბუნებრივ, რთულ მთიან რელიეფზე, გაუკვალავ თოვლში თხილამურებითა და სნოუბორდით სრიალს გულისხმობს. მსოფლიო ტური 2008 წლიდან ტარდება. იგი 2022 წლის დეკემბრიდან **FWT** საერთაშორისო სათხილამურო და სნოუბორდის ფედერაციის (**FIS**) ნაწილია. 2026 წლიდან კი ფრირაიდი პირველად შევიდა ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში. მისი ოლიმპიური დებიუტი 2030 წელს, საფრანგეთის ალპებში გაიმართება.



ვუტევთ აფრიკას!

სენეგალის დედაქალაქ დაკარის აგდულაი ვადეს სახელობის სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნა ზაფხულის მე-4 ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები 205 ქვეყნის 2655 სპორტსმენის მონაწილეობით, რომლებიც გრანდიოზული აფრიკული ფორუმის მედლებს 25 სახეობაში გაითამაშებენ.

ქართული დელეგაციის მედროშეობის პატივი მოცურავე **ანასტასია მიქელაშვილსა** და ძიუდოისტ **ვაჟა გენგაშვილს** ხვდათ წილად, სულ კი მომავალი ჯვაროსნები საპრიზო ადგილების დასაკავებლად 9 დისციპლინაში იბრძოლებენ (მძლეოსნობა, ფარიკაობა, კრივი, უშუ, ტაეკვონდო, მშვილდოსნობა, ძიუდო, ცურვა, ქვიშის ჭიდაობა).

დავძენთ, რომ 13 თანამემამულის ასპარეზობას საქართველოს სპორტის მინისტრის მოადგილე **ირაკლი დოლაბერიძე** და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი **ემზარ ზენაიშვილი** ესწრებიან.

ბაზაძემ გაასამა

საქართველოს ფარიკაობის ნაკრების ლიდერმა სანდრო ბაზაძემ ჩინეთში გამართულ საერთაშორისო ფარიკაობის მასტერსის ტურნირზე ოქროს მედალი მოიპოვა.

ქართველმა ხმლით მოფარიკავემ ჩინეთში შესანიშნავად იასპარეზა და ტურნირის ფინალში მასპინძელი სპორტსმენი, შიაო ლინი დამაჯერებელი ანგარიშით – 15:3 დაამარცხა. ბაზაძემ მეტოქეს გამარჯვების შანსი პრაქტიკულად არ დაუტოვა და ჩემპიონობა იზეიმა.

აღსანიშნავია, რომ სანდრო ბაზაძისთვის ეს მიმდინარე სეზონში უკვე მესამე ოქროს მედალია. ქართველმა მოფარიკავემ სექტემბერში ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გამართული საერთაშორისო „სატელიტის“ ტურნირი მოიგო, 18 ოქტომბერს კი ალჟირის ქალაქ ორანში გამართულ მსოფლიო თასზე გაიმარჯვა.



კონტრაქტიც, ხელფასიც...

„ფროზინონე“ გიორგი კვერნაძეს კონტრაქტის განახლებას და ხელფასის გაზრდას სთავაზობს, – ამის შესახებ ინფორმაციას Tuttomercatoweb-ი ავრცელებს.

წყაროს თანახმად, ფეხბურთელი იტალიურ კლუბში თავს ძალიან კარგად გრძნობს, მაგრამ მისი შესანიშნავი თამაშის შედეგად, ძლიერი კლუბების მხრიდან ინტერესი იზრდება. გიორგი უკვე დაუკავშირეს „მონაკოს“, „ევერტონს“, „კრისტალ პალასს“, „რომასა“ და „ნაპოლის“. ვინაიდან, კონტრაქტი 2028 წლის ზაფხულამდეა ძალაში, „ფროზინონე“ მისი გახანგრძლივების სანაცვლოდ, წელიწადში 1 მილიონ ევროს სთავაზობს, რაც ხუთჯერ მეტია, ვიდრე ამჟამინდელი გასამრჯელო. გიორგიმ უნდა გადაწყვიტოს, დათანხმდება თუ არა შეთავაზებას. თუ არა, შესაძლებელია, ტრანსფერი იანვარშიც კი შედგეს. სხვა დეტალები ჯერჯერობით უცნობია.



შეგახსენებთ, რომ ქართველ ფეხბურთელს სერია A-ს მიმდინარე სეზონში ჩატარებულ 10 მატჩში 3 ბურთი აქვს გატანილი, ოთხჯერ საგოლე პასი გააკეთა, ხოლო ერთხელ პენალტი გამოიმუშავა. გარდა ამისა, იტალიის თასის ერთ შეხვედრაში დუბლით და ერთი საგოლე გადაცემით გამოირჩა.



ამბიციაც, სიმშვიდეც

„პარი სენ-ჟერმენის“ მთავარმა მწვრთნელმა ლუის ენრიკემ ჩემპიონთა ლიგის მეოთხე ტურში „ვილიარეალთან“ გამარჯვების (6:0) შემდეგ ისაუბრა.

ესპანელი კვარაცხელიასა და დემბელეს ტრავმების მიუხედავად კმაყოფილია თავისი გუნდის თამაშით, მაგრამ სიმშვიდის შენარჩუნებას ითხოვს:

„ეს სენსაციური მატჩი იყო. ეს არის რთული თამაშები, სადაც თუ რთულად დაიწყებ და რამდენიმე გოლს გაუშვებ, მატჩი შეიძლება სხვა მიმართულებით წავიდეს. თუმცა, ჩვენ თამაში ბრწყინვალედ დავიწყეთ. ძალიან კარგად ვახერხებდით პრესინგს, ბურთი დავიბრუნეთ და სამი გოლი გავიტანეთ. ძალიან კმაყოფილი ვარ. როგორც ყოველთვის, ჩვენს გულშემატკივრებთან ერთად, თავს ისე ვგრძნობდით, როგორც სახლში.

გოლო წლებთან შედარებით უკეთესად ვთამაშობთ. ყველამ იცის, როგორ დასრულდა გოლო ორი სეზონი, მიუხედავად იმისა, რომ დასაწყისში უფრო რთული შედეგები გვქონდა. ამ მატჩიდან მაქსიმალურად უნდა ვისარგებლოთ, ვეცადოთ გაუმჯობესებას და ყველას ვაჩვენოთ, რომ ნამდვილად ვართ გუნდი, რომელსაც პრობლემების გადალახვა შეუძლია. როგორც ყოველთვის, კონცენტრირებულები უნდა ვიყოთ. უფრო ძლიერი ვართ, ვიდრე შარშან? გვახსოვს, რას ამბობდნენ, როდესაც ლიგა 1-ის სამ ტურში ვერ მოვიგეთ. სიმშვიდე უნდა შევინარჩუნოთ. გუნდის ამბიცია, მომწონს, მაგრამ ეს თებერვალსა და მარტში უნდა ვაჩვენოთ. სეზონის ბოლოს გამარჯვებული მხოლოდ ერთი გუნდი იქნება“, – თქვა **ლუის ენრიკემ.**

შეგახსენებთ, რომ „პარი სენ-ჟერმენს“ ჩემპიონთა ლიგაზე 12 ქულა აქვს და ფაზის ეტაპს ლიდერობს, 25 ნოემბერს კი „რომას“ უმასპინძლებს.

გუნდურის ხიბლი

უკვე გაუწყეთ, რომ ნეაპოლში გამართული ძიუდოისტთა ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი პირად ტურნირში მოხვეჭილი 5 მედლით დავასრულეთ: ოქრო – ლუკა ჯავახიშვილი. ვერცხლი – ლუკა დავლაძე. ბრინჯაო – ლუკა გადელია, მათე ბერუაშვილი და ნინო ლოლაძე. აღსანიშნავია ისიც, რომ 90 კგ წონით კატეგორიაში სულაც ქართული ფინალი გათამაშდა.

არანაკლებ მნიშვნელოვანი გახლავთ ის წარმატება, რომელიც უმცროსმა ჯვაროსნებმა მიქსში (ქალთა და ვაჟთა შერეული გუნდები) მოიპოვეს.

ჩვენმა ნაკრებმა გერმანიისა (4:3) და იტალიის (4:2) დამარცხების შემდეგ ფინალი საფრანგეთთან 3:4 დათმო და საპატიო კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე შეაბიჯა. ისიც სათქმელია, რომ ბრძოლა 3:3 დასრულდა და ტიტულის ბედი ბრმა წილისყრით გადაწყდა, რომელმაც დამატებითი შეხვედრა მათე ბერუაშვილს „გამოუწერა“ (73 კგ): მან ელიოტ პრეევთან წააგო.





20 წლის, 2 თვისა და 7 დღის ასაკში ფორმულა 1-ის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებული მერსედესის იტალიელი პილოტი ანდრეა კიმი ანტონელი სეზონის დასრულებამდე 4 ტურით ადრე გახდა.

ეს მექსიკის გრან პრის შემდეგ მოხდა, სადაც ახალ ტრიუმფატორს წინა რეკორდსმენის – გერმანელი სებასტიან ფეტელის მიღწევის დაახლოებით 3 წლით გასაუმჯობესებლად და ნანატრი ტიტულის მოსახვეჭად მე-3 ადგილი ეყო. აღსანიშნავია ისიც, რომ იგი **ალბერტო ასკარის** შემდეგ (1953 წ.) პირველი აპენინელია, ვინც სამეფო რბოლები მოიგო.

ასკარის მემკვიდრე

ანტონელი – 380, **ფერსტაპენი** (რედ ბული) – 261, **ჰამილტონი** (ფერარი) – 259, **რასელი** (მერსედესი) – 250, **ლეკლერი** (მაკლარენი) – 245 ქულა.

კონსტრუქტორთა თასი ფინიშამდე 4 ეტაპით ადრე: მერსედესი – 630, ფერარი – 504, რედ ბული – 382, მაკლარენი – 365 ქულა.

ანდრეა კიმი ანტონელი: ჩვენ ეს შევძელით! ახლა პოდიუმის მწვერვალზე არ ვიდგებოდი, რომ არა მერსედესის მხარდაჭერა და ჩემი ოჯახის თანადგომა. ჯერ კიდევ ვცდილობ გავიაზრო, თუ რა მოხდა!

განცხადება

სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:

1.	მობილური მანქანების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – ერთი საშტატო ერთეული.
2.	მანქანათმშენებლობის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – ერთი საშტატო ერთეული.
3.	მანქანათმშენებლობის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი – ერთი საშტატო ერთეული.

კონკურსის პირობები:

უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის შესაბამისი დარგის სპეციალისტი, აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება და აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კონკურსანტს მოეთხოვება განყოფილებაში მიმდინარე სამეცნიერო თემატიკით გათვალისწინებული ერთ-ერთი პროექტის ხელმძღვანელობა ან შესრულებაში აქტიური მონაწილეობა. სამეცნიერო სამუშაოთა დაგეგმვა და განხორციელება.

მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის შესაბამისი დარგის სპეციალისტი, აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება და აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კონკურსანტს მოეთხოვება განყოფილებაში მიმდინარე სამეცნიერო თემატიკით გათვალისწინებული ერთ-ერთი პროექტის შესრულებაში აქტიური მონაწილეობა. მიღებული შედეგების ანალიზი და სამეცნიერო ანგარიშების შედგენა.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

ა)	განცხადება;
ბ)	პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
გ)	ავტობიოგრაფია (CV);
დ)	დოქტორის (მაგისტრის), ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
ე)	გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ნუსხა, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
ვ)	ერთი სამეცნიერო ნაშრომის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს, კვლევის უნარს;
ზ)	სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების ჩამონათვალი, რომელთა დამუშავებაშიც იღებდა მონაწილეობას (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
თ)	სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი;
ი)	პატენტები, საავტორო მოწმობები, ლიცენზიები და მის სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტები;
კ)	შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი).
	საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში მისამართზე: თბილისი, ე. მინდელის ქ.#10.
	საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2026 წლის 02 დეკემბერი.
	დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ – ნინო დიდიშვილს ტ.: 599 141468, 2 329017

პოლიციამ მარნეულში ერთი თაღლითი დააკავა

პოლიციამ მარნეულში დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების ბრალდებით ერთი პირი დააკავა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებული სამშენებლო მასალების მაღაზიის მეპატრონეს 45 870 ლარის ღირებულების მასალა იმ პირობით გამოართვა, რომ თანხას მოგვიანებით გადაუხდიდა, თუმცა დანაპირები არ შეასრულა და აღნიშნული მასალები თაღლითურად მიიკუთვნა. სამართალდამცველებმა ბრალდებული მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს. **გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ცხრა წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**



თურქეთში საერთაშორისო ძებნილი საქართველოს მოქალაქე დააკავეს

თურქეთში, ორდუს პროვინციის უნიეს რაიონში, ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი საქართველოს მოქალაქე დააკავეს. მას დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი წამებისა და განზრახ უკანონო დაკავების დანაშაულებისთვის ეძებდნენ.

თურქული მედიის ინფორმაციით, დაკავების შესახებ ინფორმაცია 27 ოქტომბერს გავრცელდა.

ორდუს გუბერნატორის ადმინისტრაციის ცნობით, ადგილობრივი პოლიციის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და დაზვერვის სამსახურების თანამშრომლებმა ერთობლივი ოპერაცია ჩაატარეს. სამართალდამცველებმა დაადგინეს, რომ საერთაშორისო ძებნილი საქართველოს მოქალაქე უნიეს რაიონში იმყოფებოდა. პოლიციამ ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში ოპერაცია ჩაატარა და ძებნილი პირი დააკავა.

თურქული საინფორმაციო სააგენტო **Ehlas Haber Ajansı**-ს ცნობით, საქართველოს მოქალაქეს ინტერპოლისა და ევროპოლის საკითხებზე მომუშავე თურქეთის შესაბამისი დანაყოფის მიერ წითელი ცირკულარით ეძებდნენ. მას წამებასა და განზრახ უკანონო დაკავებასთან დაკავშირებული მძიმე დანაშაულები ედებოდა ბრალად. **Anadolu Ajans**, რომელიც ორდუს გუბერნატორის ოფიციალურ განცხადებას ეყრდნობა, დაკავებულს მსჯავრდებულად მოიხსენიებს. ამ დროისთვის არ საჯაროვდება დაკავებულის ვინაობა, ასაკი და დანაშაულის გარემოებები. ასევე უცნობია, ვინ იყო სავარაუდო დანაშაულის მსხვერპლი, რომელ ქვეყანაში მოხდა შემთხვევა და რომელი სახელმწიფოს მოთხოვნით გამოცხადდა საქართველოს მოქალაქეზე საერთაშორისო ძებნა. თურქეთის სამართალდამცავი უწყებების ინფორმაციით, დაკავებული შესაბამისი პროცედურების დასრულების შემდეგ მიგრანტთა და სასაზღვრო გამშვები პუნქტების განყოფილებას გადასცეს. მისი შესაძლო ექსტრადიციის ან შემდგომი სამართლებრივი პროცედურების შესახებ დამატებითი ინფორმაცია არ გავრცელებულა.

სექსუალური ძალადობის ფაქტი სკოლაში

თბილისის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში არასრულწლოვნებს შორის სექსუალური იძულების ფაქტი მოხდა.

არსებული ინფორმაციით, მე-6 კლასელმა ბიჭმა მე-4 კლასელ ბიჭს, სკოლის საპირფარეშოში, სექსუალური ხასიათის ქმედება აიძულა. შემთხვევა დაახლოებით, 2 კვირის წინ მოხდა. **როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლით დაიწყო, რაც იძულებას გულისხმობს.**

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის

განცხადება

თბილისში უეფას IV კატეგორიის ეროვნული სტადიონის მშენებლობის პროექტის ფარგლებში ექსპროპრირებული უძრავი ქონების მესაკუთრეთათვის თანხის გადათავსებასთან დაკავშირებით

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2025 წლის 12 დეკემბრის N1-1/433 ბრძანების საფუძველზე, თბილისში უეფას IV კატეგორიის ეროვნული სტადიონის მშენებლობის პროექტი გამოცხადდა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების მქონე პროექტად და სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება.

აღნიშნულთან დაკავშირებით სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და ექსპროპრიაცია განხორციელდა შემდეგ უძრავ ქონებებზე:

1. 400 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, შალვა ლოლაძის პირველ ჩიხი N17; ს.კ N01.19.25.001.170;

2. 600 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, კახეთის გზატკეცილსა და, აეროპორტში მიმავალ გზას შორის; ს.კ N01.19.25.001.140;

3. 540 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, კახეთის გზატკეცილსა და, მის საუწყებო რადიოსადგურებს შორის (ნაკვეთი N28); ს.კ N01.19.25.001.045;

4. 350 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, შალვა ლოლაძის პირველ ჩიხი N1; ს.კ N01.19.25.001.230;

5. 540 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, კახეთის გზატკეცილსა და, აეროპორტში მიმავალ გზას შორის, მისი საუწყებო რადიოსადგურების მიმდებარედ (ნაკვეთი N70); ს.კ N01.19.25.001.284;

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის N3/1170-26 გადაწყვეტილების საფუძველზე, ზემოხსენებული უძრავი ქონებები დარეგისტრირდა სახელმწიფო საკუთრებად ხოლო უძრავი ქონების მესაკუთრეთათვის განკუთვნილი საკომპენსაციო თანხები ჩაირიცხა ნოტარიუს მარიკა გოგოლაძის სადეპოზიტო ანგარიშზე (მისამართი: დავით აღმაშენებლის ქუჩა N183).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 441-ე მუხლის შესაბამისად ნოტარიუსი სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებულ საკომპენსაციო თანხას ინახავს სამ წლამდე ვადით. იმ შემთხვევაში თუ მესაკუთრეთა მხრიდან აღნიშნული პერიოდის ამოწურვამდე არ განხორციელდება თანხის გატანა, მოხდება მათი უკან დაბრუნდება.

STATEMENT OF THE MUNICIPAL DEVELOPMENT FUND OF GEORGIA REGARDING THE PLACEMENT OF COMPENSATION AMOUNTS FOR OWNERS OF EXPROPRIATED IMMOVABLE PROPERTY WITHIN THE PROJECT FOR THE CONSTRUCTION OF A UEFA CATEGORY IV NATIONAL STADIUM IN TBILISI

Based on Order No. 1-1/433 of the Minister of Economy and Sustainable Development of Georgia, dated 12 December 2025, the project for the construction of a UEFA Category IV National Stadium in Tbilisi was declared a project of necessary public interest, and the Legal Entity of Public Law — Municipal Development Fund of Georgia was granted the right of expropriation.

In this regard, the Legal Entity of Public Law - Municipal Development Fund of Georgia applied to the Administrative Cases Panel of the Tbilisi City Court, and expropriation was carried out in relation to the following immovable properties:

1. A 400 m² non-agricultural land plot located at No. 17, First Lane of Shalva Loladze Street; cadastral code No. 01.19.25.001.170.

2. A 600 m² non-agricultural land plot located between Kakheti Highway and the road leading to the airport; cadastral code No. 01.19.25.001.140.

3. A 540 m² non-agricultural land plot located between Kakheti Highway and its departmental radio stations (Plot No. 28); cadastral code No. 01.19.25.001.045.

4. A 350 m² non-agricultural land plot located at No. 1, First Lane of Shalva Loladze Street; cadastral code No. 01.19.25.001.230.

5. A 540 m² non-agricultural land plot located between Kakheti Highway and the road leading to the airport, in the vicinity of its departmental radio stations (Plot No. 70); cadastral code No. 01.19.25.001.284.

Based on Decision No. 3/1170-26 of the Administrative Cases Panel of the Tbilisi City Court, the above-mentioned immovable properties were registered as state property, while the compensation amounts intended for the owners of the immovable properties were transferred to the deposit account of Notary Marika Gogoladze (address: No. 183, Davit Aghmashenebeli Street).

In accordance with Article 441 of the Civil Code of Georgia, the notary shall retain the compensation amounts placed in the deposit account for a period of up to three years. If the owners do not withdraw the compensation amounts due to them before the expiry of this period, the funds will be returned.

დოკუმენტი

საქართველოს რესპუბლიკა

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის
განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საგზაო-ღობრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2026 წლის 02 ნოემბრის №1-1/406 ბრძანების საფუძველზე

„სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების 2025 წლის 20 ივნისის N1008 განკარგულების საფუძველზე, მუნიციპალიტეტებში სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია, ქ. გორში არსებული საფეხბურთო სტადიონის სრული დემონტაჟი და მის ადგილას ახალი, უეფას IV კატეგორიის, 8000 მაყურებელზე გათვლილი სტადიონის მშენებლობა. საქართველოს მთავრობის 2026 წლის 07 ივლისის N1440 განკარგულებით პროექტს მიენიჭა განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინსფრასტრუქტურული პროექტის სტატუსი.

ინიციატივა ქვეყანას საშუალებას მისცემს განახორციელოს საერთაშორისო ასპარეზზე პოტენციურ მასპინძელ ქვეყნად პოზიციონირება და შესაბამისად, იქცეს საერთაშორისო დონის სპორტული და გასართობი ღონისძიებების მასპინძლად. მსგავსი მასშტაბური პროექტის გრძელვადიან მიზანს წარმოადგენს გლობალურ სპორტულ რუკაზე საქართველოს რეგიონულ ცენტრად ქცევა, რაც ქვეყნისთვის უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია, რადგან ხელს შეუწყობს ქვეყნის წარმოჩენასა და დაეხმარება სპორტისა და ტურიზმის კიდევ უფრო მეტად განვითარებასა და წახალისებას.

საპროექტო ტერიტორია მოიცავს საფეხბურთო კლუბ „გორის დილას“ არსებულ – ამჟამად მოქმედ, თუმცა, მაღალი კატეგორიის სტანდარტებისათვის შეუსაბამო სტადიონს. შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ქ. გორში არსებული საფეხბურთო სტადიონის სრული დემონტაჟის და მის ადგილას ახალი, უეფას IV კატეგორიის, 8000 მაყურებელზე გათვლილი სტადიონის მშენებლობის შესახებ.

პროექტი დადებით გავლენას მოახდენს გორის მუნიციპალიტეტზე, რადგან იგი ითვალისწინებს არსებული მოძველებული სტადიონის დემონტაჟსა და შესაბამისი სტანდარტების ახალი, თანამედროვე სტადიონის მშენებლობას. ამასთან, განახლებული ინფრასტრუქტურა არა მხოლოდ გააუმჯობესებს სპორტული ღონისძიებების მასპინძლობის პირობებს, არამედ ქალაქს მისცემს შესაძლებლობას უმასპინძლოს როგორც საფეხბურთო მატჩებს, ისე სხვადასხვა კულტურულ და საზოგადოებრივ ღონისძიებებს. აღნიშნული ხელს შეუწყობს ქალაქის იმიჯის გაუმჯობესებას და გორის, როგორც სპორტული და კულტურული აქტივობების ცენტრად ჩამოყალიბებას. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ახალი სტადიონის სამშენებლო ტერიტორია შეირჩა რამდენიმე ძირითადი ფაქტორის გათვალისწინებით, მათ შორის ქალაქის ფარგლებში მისი ხელსაყრელი მდებარეობის, არსებული სტადიონის, სატრანსპორტო ქსელით კარგი ხელმისაწვდომობის, სტადიონისა და მისი დამხმარე ინფრასტრუქტურის განსათავსებლად ხელსაყრელი პირობების საფუძველზე.

საპროექტო ტერიტორიაზე უკვე უზრუნველყოფილია ყველა აუცილებელი მუნიციპალური საინჟინრო ინფრასტრუქტურა (წყალმომარაგება, წყალარინება, ელექტრომომარაგება და სხვა კომუნალური ქსელები), ხოლო შერჩეული მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებად.

პროექტის განხორციელების მიზნით საჭიროა პროექტის არეალში მოქცეული კერძო საკუთრებაში არსებული 2 უძრავი ქონების გამოსყიდვა. საპროექტო კომპანიის შპს „**NS Studio**“-ს ტექნიკური დასაბუთების თანახმად, ზემოაღნიშნული ორი უძრავი ქონება აბრკოლებს როგორც სამომავლოდ მშენებლობის პროცესს, ასევე, შეუსაბამოა უეფას IV კატეგორიის სტადიონის სტანდარტებთან და კონცეფციასთან. შესაბამისად, სტადიონის სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის და შესაბამისი კატეგორიის მისანიჭებლად, მომიჯნავე კერძო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან გამოსყიდვას და დემონტაჟს.

ამასთან, ფონდის მიერ შეთანხმება, ვერ იქნა მიღწეული პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირის საკუთრებაში არსებული ქონებების ნებაყოფლობით გამოსყიდვაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფონდმა მიმართა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ექსპროპრიაციის პროცედურის დაწყების შუამდგომლობით და აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭება მოითხოვა.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მიზნით საკითხის განმხილველი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2025 წლის 19 მაისის N1-1/184 ბრძანებით შექმნილმა ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველმა კომისიამ (შემდგომში-კომისია) განიხილა სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდის“ (შემდეგში ფონდი) განცხადება – ფონდისათვის, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების შესახებ. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2026 წლის 02 ნოემბრის 1-1/406 ბრძანებით პროექტი გამოცხადდა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების მქონე პროექტად და ფონდი ჩაითვლილ იქნა ექსპროპრიაციის განმახორციელებელ სუბიექტად.

საპროექტო ტერიტორია მოიცავს საექსპროპრიაციო შემდეგ ქონებას:

ქ. გორში გურამიშვილის ქუჩა N1-ში მდებარე 2098 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებას (ს.კ N66.45.26.117) პროექტისათვის საჭირო მიწის ნაკვეთ-(ებ)ზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი უახლოეს დროში მიმართავს რაიონულ-(საქალაქო)სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრე(ებ)ს დამატებით ეცნობებათ სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლო განხილვის თარიღი.

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის
განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საგზაო-ღობრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2026 წლის 02 ნოემბრის №1-1/407 ბრძანების საფუძველზე

„სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების 2024 წლის 04 ივნისის N791 განკარგულების და „სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების 2024 წლის 04 ივნისის N791 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 02 ივნისის N918 განკარგულების საფუძველზე, სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდი (შემდგომში: „ფონდი“) ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის მეორე მონაკვეთის (კმ 5+000-8+300) მშენებლობის პროექტს.

პროექტი წარმოადგენს ქვეყნის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით დაგეგმილ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაბიჯს. ფონდმა, აზიის განვითარების ბანკის (**ADB**) დაფინანსებით მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამის (**SUTIP**) ფარგლებში, უკვე განახორციელა თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის (სიგრძე – 17.4 კმ) მშენებლობის პროექტი. ამასთან, პროექტი გაიყო სამ მონაკვეთად. პირველი და მესამე მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოები (10,6 კმ) დასრულდა 2016 წლის მაისში. მეორე მონაკვეთის მოდერნიზაციის პროექტიდან (6,8კმ) „სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 10 მაისის N1044 განკარგულებით ამოღებული იქნა მე-2 და მე-3 ფაზების (3.3 კმ) სამუშაოები, ხოლო პირველი ფაზით გათვალისწინებული 3.6 კმ სიგრძის მონაკვეთი სრულად განხორციელდა და დასრულდა 2020 წლის ოქტომბერში. აღნიშნული მონაკვეთის დასრულების შემდეგ თბილისი-რუსთავის ახალი საავტომობილო გზა დაერთდა ფონიჭალის დასახლებაში არსებული გზის 3 კმ-იან მონაკვეთთან. ამ ეტაპზე გზა გახსნილია და პროექტის მიზანი ნაწილობრივ მიღწეულია, თუმცა, ფონიჭალის მონაკვეთზე ტრანსპორტის მოძრაობის სიჩქარე მკვეთრად შეზღუდულია (40კმ/სთ), რაც წარმოშობს საცობებს და ამცირებს საინვესტიციო პროექტის განხორციელების შედეგად მიღწეულ შედეგებს. თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის პროექტის სრული სახით დასრულებისა და გზის მთელ სიგრძეზე ტრანსპორტის სიჩქარით მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით, დღის წესრიგში დადგა დარჩენილი 3,3 კმ სიგრძის მონაკვეთის მშენებლობა მდინარე მტკვრის გასწვრივ. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ დონორის – აზიის განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებული **SUTIP** პროგრამა დასრულდა, დარჩენილი გზის მშენებლობა ხორციელდება საბიუჯეტო ასიგნებებიდან. „სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 4 ივნისის

N791, 2024 წლის 22 აგვისტოს N1174 და 2025 წლის 2 ივნისის N918 განკარგულებების გათვალისწინებით, ფონდს დაევალა მშენებლობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად მომსახურებისა და შესაბამისი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა, მათ შორის, სამშენებლო ბუფერში არსებული შენობა ნაგებობების და ნარგავების გამოსყიდვა – საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წესების შესაბამისად. პროექტის თანახმად, ფონიჭალაში არსებული საავტომობილო გზა გადადის მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, უერთდება საგზაო კვანძს და უბრუნდება მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ფონიჭალის დასახლებაში არსებულ საავტომობილო გზას. ამასთან, თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის მოწყობა აუმჯობესებს ქალაქ თბილისის კავშირს ქალაქ რუსთავთან. ერთმანეთთან აკავშირებს ქალაქის მიმდებარე უბნებს (ფონიჭალა, ლითონკონსტრუქციების დასახლება), რაც ზრდის მათი და ზოგადად ქალაქის სოციალური და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივას. პროექტს გააჩნია ორი წამყვანი ასპექტი: 1. ადგილობრივი და ურბანული, რომელიც დაკავშირებულია ურბანული კავშირის გაუმჯობესებასთან თბილისის ორ დასახლებასა და თბილისსა და რუსთავს შორის. 2. საერთაშორისო კავშირის გაუმჯობესება აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის, შესაბამისად კასპიის ზღვასა (ბაქოს პორტი) და შავ ზღვას შორის (ფოთისა და ბათუმის პორტები). პროექტთან დაკავშირებით ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს ტრანზიტული ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განვითარება მისი სატრანსპორტო კორიდორების გაუმჯობესების გზით. ამ ეტაპზე მიმდინარეობს თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის მეორე მონაკვეთის (კმ 5+000 - 8+300) განსახლების პროცესი.

ფონდის მიერ შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირთა საკუთრებაში არსებული ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფონდმა მიმართა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ექსპროპრიაციის პროცედურის დაწყების შუამდგომლობით და აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭება მოითხოვა.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მიზნით საკითხის განმხილველი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2025 წლის 19 მაისის N1-1/184 ბრძანებით შექმნილმა ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველმა კომისიამ (შემდგომში-კომისია) განიხილა სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდის“ (შემდეგში ფონდი) განცხადება – ფონდისათვის, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების შესახებ. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2026 წლის 02 ნოემბრის 1-1/407 ბრძანებით პროექტი გამოცხადდა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების მქონე პროექტად და ფონდი ჩაითვლილ იქნა ექსპროპრიაციის განმახორციელებელ სუბიექტად.

საპროექტო ტერიტორია მოიცავს საექსპროპრიაციო შემდეგ ქონებას:

თბილისში, ლითონკონსტრუქციის VI დასახლებაში, N127, ბ-3-ში (ქ. თბილისი ვახტანგ შანავას ქუჩა N21) მდებარე 233 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობა N1 (I სართული 39.73 კვ.მ, II სართული 46.04 კვ.მ), ს. კ N01.19.33.004.242;

თბილისში ვახტანგ შანავას N30-ში მდებარე 500 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა/ ნაგებობება (შენობა N1/1 პირველი სართულის საერთო ფართი 53.74 კვ.მ, შენობა N2/1 პირველი სართულის საერთო ფართი 51.83 კვ.მ, ორივე შენობა საერთო ფართი 105.57 კვ.მ), ს.კ N01.19.33.004.173; ს.კ N01.19.33.004.173.01.500 და ს.კ N01.19.33.004.173.02.500;


თბილისში, გარდაბნის გზატკეცილსა და მდინარე მტკვარს შორის (ნაკვეთი 154) მდებარე 380 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ N01.19.33.019.052);

თბილისში, გარდაბნის გზატკეცილსა და მდინარე მტკვარს შორის (ნაკვეთი N67) მდებარე 403 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა (N1 მშენებარე), ს.კ N01.19.33.019.021;

თბილისში, რუსთავის გზატკეცილზე N277-ში მდებარე 1637 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა/ნაგებობა (N1 არასაცხოვრებელი, ავტოსამრეცხაო და ავტოსარემონტო ბოქსები), N2 არასაცხოვრებელი სამშენებლო დოკუმენტაციის გარეშე), ს.კ N01.81.05.074.010.

პროექტისათვის საჭირო მიწის ნაკვეთ(ებ)ზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი უახლოეს დროში მიმართავს რაიონულ(საქალაქო)სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრე(ებ)ს დამატებით ეცნობებათ სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლო განხილვის თარიღი.



შესანიშნავი მეცნიერი, ხელმძღვანელი, მეგობარი

აკადემიკოსი თამაზ ნატრიაშვილი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი მანქანათმშენებლობის დარგში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის დირექტორი თამაზ ნატრიაშვილი.

თამაზ ნატრიაშვილი დაიბადა 1950 წელს, 1972 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (დღევანდელი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი შიგაწვის ძრავების სპეციალობით. ამავე წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში, სადაც გაიარა გზა უფროსი ტექნიკოსიდან ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობამდე, რომელზეც არჩეული იქნა 2006 წელს და დღემდე იკავებდა ამ პოზიციას. 2003 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

თამაზ ნატრიაშვილი 2018 წელს არჩეული იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად.

აკადემიკოს თამაზ ნატრიაშვილს მნიშვნელოვანი შრომები და ინოვაციური მიგნებები ჰქონდა ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებში, როგორებიცაა საავტოტრაქტორო შიგაწვის ძრავების ექსპლუატაცია მთიან და მაღალმთიან პირობებში, წყალბადზე შიგაწვის ძრავების კონვერტაცია, სამანქანო სისტემებში დარტყმითი მოვლენების პარამეტრების გაანგარიშების საინჟინრო მეთოდების დამუშავება, ხახუნისა და ცვეთის პრობლემები სამანქანო სისტემებში და სხვა. იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა მრავალ მნიშვნელოვან პროექტს მანქანათმშენებლობის დარგში. ბოლო დროს იგი იყო პრიორიტეტული პროგრამის „ინოვაციური ტექნოლოგიების დამუშავება მანქანათმშენებლობასა და სატრანსპორტო სისტემებში“ კოორდინატორი. აღნიშნული პროგრამა ეხება როგორც სამოქალაქო, ისე თავდაცვის სფეროს და უმნიშვნელოვანესია ისეთი რელიეფის მქონე ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა.

მანქანებში დარტყმითი პროცესების შესწავლის საფუძველზე მის მიერ მიღებული პატენტები საშუალებას იძლევა შეიქმნას მცირე ლითონშემცველობისა და ენერგომხმარების მანქანები. აკადემიკოსი ნატრიაშვილი იყო 160-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის (მათ შორის, 7 მონოგრაფიის და 11 გამოგონების) ავტორი. მისი სამეცნიერო ღვაწლი აღინიშნა 2012 წელს საქართველოს ეროვნული პრემიით მეცნიერების დარგში, ხოლო 2024 წელს იგი დაჯილდოებული იქნა გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემიით.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი პედაგოგიური მოღვაწეობა, რომელსაც იგი წლების მანძილზე ეწეოდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. ქართული ინჟინერიის მეცნიერულ სიახლეებს უშურველად გადასცემდა სტუდენტურ აუდიტორიას. აკადემიკოს თამაზ ნატრიაშვილის გარდაცვალება უდიდესი დანაკარგია საქართველოს საინჟინრო მეცნიერებისათვის – აქტიურად მოღვაწე გამოჩენილი მეცნიერი თანამედროვე საინჟინრო კვლევების ავანგარდში იდგა. თამაზ ნატრიაშვილი იყო უაღრესად კეთილშობილი, კოლეგებისა და თანამშრომლებისადმი ყურადღებიანი, კეთილგანწყობილი და მეგობრული პიროვნება. მისი დაკარგვა უდიდესი ტკივილია მისი თანამშრომლების, კოლეგებისა და სტუდენტებისათვის.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საინჟინრო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საინჟინრო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი მანქანათმშენებლობის დარგში, სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი


თამაზ ნატრიაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს

მისი დაკარგვა უდიდესი ტკივილია

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრის, საქართველოს ეროვნული და გ. ნიკოლაძის სახელობის პრემიების ლაურეატის თამაზ ნატრიაშვილის გარდაცვალება უდიდესი დანაკლისია ქართული მეცნიერებისა და საქართველოს ტექნიკური ინტელიგენციისათვის.

მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში ბატონმა თამაზმა მუშაობა დაიწყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ (1972) და გაიარა ყველა საფეხური ტექნიკოსიდან დირექტორობამდე (2006). მან ამ თანამდებობაზე ღირსეულად შეცვალა თავისი მასწავლებლები, ცნობილი ქართველი მეცნიერები: ინსტიტუტის დამფუძნებლები, აკადემიკოსები რ. დვალი და ვ. მახალდიანი, ეროვნული აკადემიის წევრები იოველ ჯეგაშვილი და რობერტ ადამია. თავის სამეცნიერო შრომებში ბატონმა თამაზმა არა მარტო განავითარა თბური ძრავების თეორიაში ქართული სკოლისთვის დამახასიათებელი კვლევის ექსპერიმენტული მეთოდები, არამედ პირველმა შექმნა სასიმაღლო პირობებში მომუშავე ძრავის მუშა პროცესის მათემატიკური მოდელი, დაფუძნებული თერმოდინამიკის ფუნდამენტურ განტოლებებზე, რომლის გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს ძრავის შექმნაზე საჭირო დროისა და მატერიალურ დანახარჯებს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მან ამ ნაშრომებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ძრავების თეორიაში. ცალკე აღნიშვნის ღირსია მის მიერ ჩატარებული კვლევები ენერგიის ალტერნატიული წყაროების შექმნისა და მანქანების ეკოლოგიური მაჩვენებლების გაუმჯობესების, კერძოდ სატრანსპორტო ძრავების ტრადიციული საწვავების – წყალბადითა და ბუნებრივი აირით ჩანაცვლების საკითხებზე. თანაავტორებთან ერთად დაწერილი ამ საკითხებისადმი მიძღვნილი მონოგრაფია 2015 წელს გამოიცა ნიუ-იორკში. ბატონმა თამაზმა ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად ასევე დაამუშავა მყარი სხეულების დარტყმითი ურთიერთქმედების პარამეტრების გაანგარიშების საინჟინრო მეთოდები და დინამიკური პროცესების ოპტიმიზაციის საკითხები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ მძიმე დატვირთვიან მანქანათა კონსტრუქციის სრულყოფისათვის.



განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თ. ნატრიაშვილის მოღვაწეობა საზღვარგარეთის ცნობილ სამეცნიერო ცენტრებში. ძრავების თეორიის ფრანგული სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, პროფესორ ვიშნევსკის მიწვევით 1988-1991 წლებში თამაზ ნატრიაშვილი სამეცნიერო მუშაობისა და ლექციების კურსის წასაკითხად მივლინებული იქნა პარიზში, პიერ და მარი კიურების უნივერსიტეტში. ამ მისიის წარმატებით ჩატარებაში მის მიერ ფრანგული ენის ცოდნამაც ითამაშა როლი. გარდა ამისა, ის ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა ისრაელის ვეიცმანის ინსტიტუტში (1991) და უნგრეთის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში „აუტოკუტი“ (1986-1988), როგორც მომხსენებელი აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, რომლებიც რეგულარულად ტარდებოდა საფრანგეთში, აშშ-ში, ისრაელში, პოლონეთში, რუსეთში, ბელორუსში და ა. შ.

თამაზ ნატრიაშვილი პარალელურად პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა თავის „ალმა-მატერში“ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც მას მოწვეული პროფესორის თანამდებობა ეჭირა და იყო ამ უნივერსიტეტის, აგრეთვე თბილისის საავიაციო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოების წევრი.

ბატონი თამაზი იყო ზომიერად მკაცრი, ამავე დროს მეგობრული დირექტორი, რომელმაც ყველა თანამშრომლის – დარაჯიდან დაწყებული პროფესორამდე – ხასიათი და პრობლემა იცოდა, სიყვარულითა და რუდუნებით მართავდა ინსტიტუტს, იქ ატარებდა უქმე დღეების დიდ ნაწილსაც კი. გვიან საღამოს, სამუშაო საათების შემდეგ, საათს დახედავდა და თავისთვის ჩაილაპარაკებდა „კვლავ შვილიშვილებს მოვპარე დრო“. ის ფაქტიურად ცხოვრობდა ინსტიტუტით და ინსტიტუტში. ამიტომაცაა, რომ თანამშრომლები მას არა მარტო ხელმძღვანელად, არამედ მეგობრადაც თვლიდნენ. ძნელია, მოკლე განსაზღვრება მოუძებნო ინსტიტუტის მართვის მისეულ სტილს, მაგრამ ის რომ მან შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო, უდაოა. ამის ნათელი დადასტურებაა, თუნდაც ის, რომ ბოლო წლებში ინსტიტუტი ერთერთი მოწინავეა მოპოვებული გრანტების რაოდენობით.

ბატონ თამაზის დიდი დამსახურებაა, რომ ქართული მეცნიერების ძნელბედობის ჟამს, როცა მეცნიერებისა და განათლების სისტემაში გრძელდებოდა 1990-იან წლებში დაწყებული რღვევის პროცესი, რასაც თან სდევდა სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების დახურვა და მათ ადგილზე საეჭვო სახის უმაღლესი სასწავლებლების სკოებივით გამრავლება, ინსტიტუტმა შეძლო პროფილისა და ძირითადი მირთვის შენარჩუნება და კვლავაც გარკვეულ როლს თამაშობს ქვეყნისთვის საჭირო სამხედრო ტექნიკის განვითარების საქმეში. დღეს ინსტიტუტს ჰყავს ჯანსაღი, მეგობრული კოლექტივი, სადაც ინსტიტუტთან დაკავშირებული ყველა საკითხი საერთო განსჯის საგანია და ესეც ბატონ თამაზის მიერ დამკვიდრებული ტრადიციაა.


თამაზ ნატრიაშვილის პიროვნების დასახასიათებლად ერთი ასეთი ეპიზოდიც კმარა: როცა აფხაზეთის ავად მოსაგონარი ამბები დაიწყო, ბატონი თამაზი და ინსტიტუტის თანამშრომლების ნაწილი მოხალისედ ჩაეწერნენ აფხაზეთში წასასვლელად გამზადებულ ქართული ჯარის შენაერთში. მოხალისეებს სხვადასხვა ქვედანაყოფებში ანაწილებდა (მადლობა ღმერთს!) პროფესიონალი სამხედრო პირი, რომელიც უმალვე მიხვდა ჩვენი პატრიოტი მოხალისეების სამხედრო მომზადების დონეს და ისინი, როგორც ინჟინერ-მექანიკოსები, ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში გაამწესა დაზიანებული სამხედრო ტექნიკის გასარემონტებლად.

ქვეყნისა და ინსტიტუტის გულმხურვალე პატრიოტი კაცი, შვილის, უნიჭიერესი ავთოს უდროოდ წასვლით გამოწვეული განუკურნავი იარის მატარებელი, ცდილობდა, არავისთვის ეგრძნობინებინა თავისი პრობლემები.

დიდად ვწუხვართ და ვუსამძიმრებთ მისი ყმაწვილკაცობის სიყვარულსა და ცხოვრების მეგზურს ქალბატონ თამილას, მუდამ მამაზე მზრუნველთ ქეთის და მის მეუღლეს ნიკას, საყვარელ შვილიშვილებს ლუკას, სესილის, ლილის, ევასა და კატაის.

თამაზ ნატრიაშვილი იყო შესანიშნავი მეცნიერი, მეგობარი და ხელმძღვანელი, რომელმაც უდიდესი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა ყველასგან, ვისაც მასთან ურთიერთობა ჰქონია.

რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის კოლექტივი



თამაზ ნატრიაშვილი

დიდი მწუხარებით ვემშვიდობებით ჩვენს საყვარელ ადამიანს, გამორჩეულ მეცნიერსა და დიდებულ მეგობარს, ბატონ თამაზ ნატრიაშვილს.

ბატონი თამაზი მთელ ცხოვრებასა და ენერგიას ქართული მეცნიერების განვითარებას ახმარდა. 1972 წელს, პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, მან თავისი გზა რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში დაიწყო და რიგითი ტექნიკოსიდან დაუღალავი შრომითა და ნიჭით ინსტიტუტის დირექტორობამდე და აკადემიკოსობამდე ამაღლდა.

თამაზ ნატრიაშვილის მრავალწლიანი სამეცნიერო მოღვაწეობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მანქანათმშენებლობის, სატრანსპორტო ტექნოლოგიებისა და საინჟინრო მეცნიერებების განვითარებასთან. 2006 წლიდან იგი ხელმძღვანელობდა და კოორდინაციას უწევდა პრიორიტეტულ სამეცნიერო პროგრამას – „ინოვაციური ტექნოლოგიების დამუშავება მანქანათმშენებლობასა და სატრანსპორტო საშუალებებში".

მისი ხელმძღვანელობით უამრავი მნიშვნელოვანი კვლევა ჩატარდა — დაწყებული ინოვაციური სატრანსპორტო ტექნოლოგიებითა და რობოტიზებული სისტემებით, დასრულებული ეკოლოგიურად სუფთა და ალტერნატიული ენერგიის წყაროებით.

იგი იყო ბრწყინვალე მეცნიერი, 160-ზე მეტი ნაშრომის, მონოგრაფიებისა და პატენტების ავტორი, რითაც უდიდესი სამეცნიერო მემკვიდრეობა დაუტოვა ჩვენს ქვეყანას. მისი შრომა არაერთხელ დაფასდა — მიღებული ჰქონდა საქართველოს ეროვნული და გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემიები.

მისი დაკარგვა წარმოუდგენლად მძიმე დანაკლისია თითოეული ჩვენგანისთვის. დავკარგეთ სათუთი ადამიანური თვისებების მქონე კოლეგა, საუკეთესო მეგობარი და დამრიგებელი.

გულითად თანაგრძნობას ვუცხადებთ ბატონი თამაზის ოჯახს, ახლობლებს, კოლეგებსა და მის მშობლიურ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტს. ვიზიარებთ ამ დიდ ტკივილს.

მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულებში.

სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი

სტუ-ის რექტორი ჯაბა სამუშიას მამის გარდაცვალების გამო სამძიმარს უცხადებს

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი **დავით გურგენიძე,** სა-უნივერსიტეტო საზოგადოების სახელით, მწუხარებას გამოთქვამს თსუ-ის რექტორის, აკადემიკოს **ჯაბა სამუშიას** მამის **გიორგი (გოგი) სამუშიას** გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახსა და ახლობლებს.

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელით მწუხარებას გამოვთქვამთ ბატონი გიორგი (გოგი) სამუშიას გარდაცვალების გამო.


გატონო ჯაბა!

გულწრფელად ვიზიარებთ თქვენი ოჯახის დიდ ტკივილს და ამ უმძიმეს წუთებში თანაგრძნობას გიცხადებთ.

მამის გარდაცვალება უდიდესი დანაკარგია, რომლის სიმძიმის შემსუბუქება მხოლოდ მოგონებებითაა შესაძლებელი.

გთხოვთ, მიიღოთ ჩემი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანაგრძნობა. გისურვებთ სულიერ სიმტკიცეს და გამძლეობას ამ მძიმე განსაცდელის დროს.

უფალმა ნათელში ამყოფოს მატონი გიორგის სული, ხოლო მის ოჯახს მიანიჭოს ნუგეში და მშვიდობა"!..



ვაჟა-ფშაველას გამზირის მე-3 კვარტლის მე-17 კორპუსის მეზობლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 86 წლისა გარდაიცალა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ძველი მეგობარი და აქტიური მკითხველი, ქალაქის კოლორიტული პიროვნება, ღირსეული პირველსკოლელი

ალექსანდრე მელიტონის ძე გურგენიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

თამაზ ჭეიშვილი

კიდევ ერთი შესანიშნავი პიროვნება გამოაკლდა არამარტო ქართულ ჟურნალიტიკას და მწერლობას, არამედ დიდ სამეგობროსაც...

გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, მწერალი, პუბლიცისტი და ცნობილი სახალხო მკურნალი თამაზ ჭეიშვილი.



თამაზის მსგავსი ერთგული, დაუღალავი, სიყვარულის მთესველი მართლაც იშვიათად მოიძებნებოდა. ჩვენი ძვირფასი კოლეგა, სადაც კი უმოღვაწია, „ახალგაზრდა კომუნისტში", ჟურნალ „ნიანგში", ენგურჰესის გაზეთში, ქართულ პერიოდულ პრესაში, გაზეთ „შანსში", ყველგან გამოირჩეოდა ჩვეული იუმორით, მიზანსწრაფვითა და პროფესიონალიზმით.

თამაზი გახლდათ შესანიშნავი წიგნების ავტორი, რითაც არამარტო მოზარდ მკითხველს, არამედ პროფესიონალ წიგნის მოყვარულებსაც ამახსოვრებდა თავს თავისი ორიგინალური შემოქმედებით.

წავიდა დიდი ოჯახის თავკაცი, უერთგულესი მეუღლე, მამა, ბაბუა და დიდი პაპა, იგი ყოველთვის ამაყობდა თავისი შთამომავლებით, რომლებსაც არასოდეს დააკლდებათ მისი სითბო და სიყვარული. მშვიდობით, უერთგულესო კოლეგავ და უღალატო მეგობარო!

ეთერ ჯიშკარიანი, გიორგი მამაცაშვილი, სპარტაკ ქოჭაულია, მამუკა ვაშაკიძე.

29 წლის ქართველი 16 წლის გოგოზე სექსუალური ძალადობის ბრალდებით დააკავეს

პოლონეთში საქართველოს 29 წლის მოქალაქე დააკავეს, რომელსაც თვითმფრინავში 16 წლის გოგონას მიმართ სექსუალური ხასიათის ქმედების ჩადენას ედავებიან. სასამართლომ ბრალდებულს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

პოლონური გამოცემა **RMF24**-ის ინფორმაციით, შემთხვევა 30 ოქტომბერს, ბარსელონიდან ვარშავის მოდლინის აეროპორტის მიმართულებით მიმავალ თვითმფრინავში მოხდა.

გამოცემის ცნობით, საქართველოს 29 წლის მოქალაქე ფრენის დროს მის გვერდით მჯდომ არასრულწლოვან გოგონას სექსუალური ხასიათის შეხებით ავიწროებდა. 16 წლის გოგონამ ყვირილი დაიწყო, რის შემდეგაც დედამისმა დახმარებისთვის ბორტის პერსონალს მიმართა.

ეკიპაჟი მომხდარს დაუყოვნებლივ გამოეხმაურა, მამაკაცი არასრულწლოვანს მოაშორა და ინციდენტის შესახებ საჰაერო მოძრაობის კონტროლის სამსახურს აცნობა.

თვითმფრინავის მოდლინის აეროპორტში დაშვების შემდეგ ბორტზე სასაზღვრო დაცვისა და პოლიციის თანამშრომლები ავიდნენ, რომლებმაც საქართველოს მოქალაქე დააკავეს. სამართალდამცველების ინფორმაციით, დაზარალებული პოლონეთის მოქალაქე 16 წლის გოგონაა, რომელიც ოჯახთან ერთად მოგზაურობდა. დაკავებულ მამაკაცს ბრალი უკვე წარუდგინეს. პოლიციის ცნობით, ინციდენტის დროს ის ფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. თავად ბრალდებული დანაშაულს არ აღიარებს.

ქუთაისში ავარიის შედეგად დაღუპულ ბიჭებს გამოემშვიდობნენ!



ქუთაისში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაღუპულ ბიჭებს ემშვიდობებიან. ავტომობილი, რომელშიც ორი ახალგაზრდა იმყოფებოდა, მდინარე რიონში გადავარდა. უგედური შემთხვევის დროს დაღუპული ბიჭები გერდია ხაბულიანი და მათე ოგოლაძეა.

ცნობისთვის, ავტოსაგზაო შემთხვევა ქუთაისში, მწვანეყვავილას დასახლებაში მოხდა. ავტომობილი, რომელშიც ორი ახალგაზრდა იმყოფებოდა, მდინარე რიონში გადავარდა. ადგილზე მობილიზებულნი იყვნენ მყვინთავები, სამაშველო სამსახურის, სასწრაფოსა და პოლიციის ეკიპაჟები. მაშველებმა მდინარე რიონიდან ორივე ახალგაზრდა კაცის ცხედარი ამოასვენეს. მდინარიდან ამოტანილია ავტომობილიც.

ავარიას 7 წლის ბავშვი ემსხვერპლა

გურჯაანში ავარიას 7 წლის ბავშვი ემსხვერპლა. შემთხვევა სოფელ კოლაგში გვიან ღამით მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა, გოძს შეეჯახა და დაგლოგში გადავარდა.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაშავებულია სამი პირი – ავტომობილის მძღოლი, მისი ცოლი და 3 წლის გოგონა. ისინი კლინიკაში არიან გადაყვანილები.

მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლით არის დაწყებული, რაც ტრანსპორტის მოძრაობის ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.



ოზურგეთში ანზორ ერქომაიშვილის ბიუსტი გაიხსნა

ოზურგეთში ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ფოლკლორისტისა და ლოტბარის, ანზორ ერქომაიშვილის ბიუსტი გაიხსნა.

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, ღონისძიებაზე კიდევ ერთხელ აღინიშნა ანზორ ერქომაიშვილის ფასდაუდებელი წვლილი ქართული სიმღერის გადარჩენის, დაცვისა და მომავალი თაობებისთვის გადაცემის საქმეში; მან შეკრიბა, გაშიფრა და მსმენელს უნიკალური ხალხური ჩანაწერები დაუბრუნა.

ღონისძიების დასასრულს, კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, ოზურგეთის დრამატულ თეატრში ანზორ ერქომაიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართა. კონცერტში მონაწილეობდნენ ანზორ ერქომაიშვილის მიერ დაარსებული ანსამბლები „რუსთავი“ და „მართვე“, ასევე, ანსამბლები: „ერისიონი“, „გასიანი“, „დიდგორი“, „შემოქმედი“, ფოლკლორის ცენტრის გუნდი, ოზურგეთის სალოტბარო სკოლა და ლოტბარი ტრისტან სიხარულიძე.

ბიუსტი ფონდ „ქართული გალობის“ ფინანსური მხარდაჭერით დამზადდა. **ბიუსტის ავტორი მოქანდაკე გიორგი ჭანკოტაძეა.**



გიორგი შიოლაშვილმა მალმოს იამაჰას პიანისტთა კონკურსზე გრან-პრი მოიპოვა

კონსერვატორიელი გიორგი შიოლაშვილი მალმოს იამაჰას პიანისტთა კონკურსის გამარჯვებული გახდა! თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ინფორმაციით, მან გრან-პრი მოიპოვა და ასევე იამაჰას სტიპენდიანტი გახდა.

2027 წლის აგვისტოში გიორგი მიწვეულია შვედეთში, აუსის საფორტეპიანო ფესტივალზე. გიორგი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორის, ქალბატონ **ნინო ქათამაძის** სტუდენტია.

პრემია „ლიტერა“ 2026 -ის გამარჯვებულნი



დაჯილდოების ცერემონია 2 ნოემბერს გაიმართა.

„ლიტერა“ ნომინაციაში წლის საუკეთესო დებიუტი გადაეცა **თაკო წულაიას კრებულისთვის „არაფერი არ გვემართება“.**

„ლიტერა“ ნომინაციაში წლის საუკეთესო პოეტური კრებული გადაეცა **მინდია არაბულს** კრებულისთვის **„საუკუნო უკუნი“.**

„ლიტერა“ ნომინაციაში წლის საუკეთესო პროზაული კრებული გადაეცა **დავით ქართველიშვილს** კრებულისთვის **„ცვილის ფიგურები“.**

„ლიტერა“ ნომინაციაში წლის საუკეთესო დოკუმენტური პროზა გადაეცა **გიორგი კაკაბაძეს** წიგნისთვის **„მიზეზთა ბუნება“.**

„ლიტერა“ ნომინაციაში წლის საუკეთესო რომანი გადაეცა **გოგა ქობალიას** წიგნისთვის **„სიკვდილი პაპანაქება მზეში“.**

„ლიტერას“ განსაკუთრებული ჯილდო პოეზიისთვის, საგანმანათლებლო და სამოქალაქო საქმიანობაში შეტანილი წვლილისთვის გადაეცა **ნატო ინგოროყვას.**

„ლიტერას“ განსაკუთრებული ჯილდო ორიგინალური ნაწარმოებისთვის გადაეცა **მიხელ ჩარკვიანს** წიგნისთვის **„როგორ გადავურჩეთ დიქტატურას“.**


პრინციპულობის შთამაგონებელი მაგალითის მოცემისთვის პენ საქართველოს სპეციალური პრიზი გადაეცა მწერალსა და მთარგმნელს **ირაკლი ლომოურს.**

დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდია — 135



თბილისის ოპერისა და გალეტის სახელმწიფო თეატრში კონსტანტინე გამსახურდიას 135 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა.

ღონისძიებაზე კიდევ ერთხელ წარმოჩინდა თბილისის მწერლის მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა, მისი განუმეორებელი მხატვრული სამყარო და ფასდაუდებელი წვლილი ქართული ლიტერატურისა და კულტურის განვითარებაში. საღამო კულტურის სამინისტროსა და „შემოქმედებითი საქართველოს“ მხარდაჭერით ჩატარდა.



სოფელ გლოლის საჯარო სკოლა 100 წლისაა!



ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლაში, სკოლის დაარსებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, – ინფორმაციას ონის მერი ავრცელებს.

„ღონისძიებას ონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ლევან შერაზადიშვილი, მოადგილე ირმა ჩიხრაძე, საკრებულოს თავმჯდომარე გაჩანა მარკოიშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა სკოლას 100 წლის იუბილე მიულოცეს და წარმატებები უსურვეს.

საიუბილეო დღის ფარგლებში მოეწყო სკოლის ისტორიისა და გასული საუკუნის ამსახველი გამოფენა, რომელსაც სტუმრები სკოლის ეზოში გაეცნენ.

საზეიმო ღონისძიება გლოლის ადმინისტრაციულ შენობაში გაგრძელდა კონცერტით, რომელშიც მონაწილეობდნენ გლოლის საჯარო სკოლის მოსწავლეები და სოფელ გლოლის ფოლკლორული ანსამბლი „გუგა“. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლები, სასულიერო პირები, გლოლის საჯარო სკოლის წარჩინებული კურსდამთავრებულები“.



საქართველოს რესპუბლიკა

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com

ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი.

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდან ქოგულია
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
კახა ქორიძე.

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.

ოპერატორი
შორენა გვილია.

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
გიორგი ნადარეიშვილი.

მისამართი:
თბილისი,
აკაკი წერეთლის №116

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოგეჯდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„ტორში“
ზიგზაგის ქუჩა №6

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 711057

მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 9 ნოემბერს